



საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის  
ჰიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტი



საქართველოში სეტყვასთან და  
ზვავებთან ბრძოლის სამუშაოთა  
განახლების საკითხისათვის

**ON THE RESTORATION OF HAIL  
SUPPRESSION AND ANTI-AVALANCHE  
ACTIVITIES IN GEORGIA**

**К ВОПРОСУ О ВОЗОБНОВЛЕНИИ  
ПРОТИВОГРАДОВЫХ И  
ПРОТИВОЛАВИННЫХ РАБОТ В ГРУЗИИ**

თბილისი  
2013

## **მიმოხილვის აგტორები**

### **თენგიზ ცინცაძე**

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი,  
ტექნიკის მეცნ. აკად. დოქტორი, საქართველოს საინჟინრო  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

### **ბაკურ ბერითაშვილი**

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი  
თანამშრომელი, გეოგრ.მეცნ. დოქტორი

### **ნაილი კაპანაძე**

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის უფრ.მეცნიერი  
თანამშრომელი, გეოგრ.მეცნ.აკად.დოქტორი

### **მანანა სალუკვაძე**

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის უფრ.მეცნიერი  
თანამშრომელი, გეოგრ.მეცნ.აკად.დოქტორი

***Tengiz Tsintsadze, Bakur Beritashvili,  
Naili Kapanadze Manana Saluqvadze***

***Цинцадзе Т.Н., Бериташвили Б.Ш.,  
Капанадзе Н.И., Салуквадзе М.Е***

უაკ 551.576.538.978

**მთავარი რედაქტორი:**

**ნოდარ ბეგალიშვილი**

პიდრომებელი ინსტიტუტის განყოფილების გამგე,  
ფიზ.-მათ.მეცნ.დოქტორი

**Editor in Chief N.Begalishvili**

Главный редактор Бегалишвили Н.А.

**რედაქტორები:** გ.გრიგოლია, ე.ელიზბარაშვილი,  
ლ.ინტკირველი, მ.ტატიშვილი, გ.გუნია, გ.მელაძე,

**Editorial Board:**

G.Grigolia, E.Elizbarashvili, L.Intskirveli,,

M.Tatishvili,G.Gunia, G.Meladze

**Редакционная коллегия:**

Григолия Г.Л., Элизбарашилии Э.Ш., Инцкирвели Л.н.,

Татишвили М.А., Гуниа Г.С., Меладзе Г.Г.

**რეცენზები:**

**თამაზ თურმანიძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-  
კორესპონდენტი, გეოგრ.მეცნ. დოქტორი

**Reviewer:**

Dr. Sci in Geography, Professor

**Tamaz Turmanidze**

**Рецензент:**

Доктор географических наук, профессор

Тамаз Турманидзе

**ISBN978-9941-0-6156-1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი



**Institute of Hydrometeorology of the  
Georgian Technical University**

**Институт Гидрометеорологии  
Грузинского Технического Университета**

**2013**

**უაკ 551.576.538.978**

ნაშრომის პირველ თავში განხილულია საქართველოში სეტყვასთან ბრძოლის ადრე წარმოებულ სამუშაოთა ისტორია, ორგანიზაცია, გამოყენებული ტექნილოგია. მოცემულია ბულგარეთში ამჟამად წარმოებული სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოების სტრუქტურა, კონცეფცია, სამუშაოებში გამოყენებული კონვექციური ღრუბლისა და რეაგენტის გავრცელების მოდელები. განხილულია სეტყვასაში უჯრედებისა და სეტყვიანი ღრუბლების კატეგორიები და მათი განსაზღვრის კრიტერიუმები, ზემოქმედების სტრატეგია, ტექნიკური საშუალებები და კომპიუტერული უზრუნველყოფა, საცეცხლე წერტილის ტექნიკური აღჭურვილობა. ჩატარებულია კახეთსა და ბულგარეთში სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა წარმოების შედარებითი ანალიზი.

ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია საქართველოს ზვავსაში შეტყობინები, განხილულია ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები და თოვლის ზვავების დაცვის თანამდებობა. მეორე თავში განხილულია საქართველოს სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა ისტორია, ორგანიზაცია, გამოყენებული ტექნილოგია. მოცემულია ბულგარეთში ამჟამად წარმოებული სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოების სტრუქტურა, კონცეფცია, სამუშაოებში გამოყენებული კონვექციური ღრუბლისა და რეაგენტის გავრცელების მოდელები. განხილულია სეტყვასაში უჯრედებისა და სეტყვიანი ღრუბლების კატეგორიები და მათი განსაზღვრის კრიტერიუმები, ზემოქმედების სტრატეგია, ტექნიკური საშუალებები და კომპიუტერული უზრუნველყოფა, საცეცხლე წერტილის ტექნიკური აღჭურვილობა. ჩატარებულია კახეთსა და ბულგარეთში სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა წარმოების შედარებითი ანალიზი.

ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია საქართველოს ზვავსაში შეტყობინები, განხილულია ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები და თოვლის ზვავების დაცვის თანამდებობა. მეორე თავში განხილულია საქართველოს სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა ისტორია, ორგანიზაცია, გამოყენებული ტექნილოგია. მოცემულია ბულგარეთში ამჟამად წარმოებული სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოების სტრუქტურა, კონცეფცია, სამუშაოებში გამოყენებული კონვექციური ღრუბლისა და რეაგენტის გავრცელების მოდელები. განხილულია სეტყვასაში უჯრედებისა და სეტყვიანი ღრუბლების კატეგორიები და მათი განსაზღვრის კრიტერიუმები, ზემოქმედების სტრატეგია, ტექნიკური საშუალებები და კომპიუტერული უზრუნველყოფა, საცეცხლე წერტილის ტექნიკური აღჭურვილობა. ჩატარებულია კახეთსა და ბულგარეთში სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა წარმოების შედარებითი ანალიზი.

**УДК 551.576:338.978**

В первой главе работы рассмотрены история, организация и технология работ по борьбе с градом, которые велись ранее в Грузии. Приведены структура, концепция, используемые модели конвективных облаков и распространения реагента в ныне ведущихся работах по борьбе с градом в Болгарии. Рассмотрены категории градоопасных ячеек и градовых облаков, критерии их определения, стратегия воздействия, технические средства и компьютерное обеспечение, техническое оснащение огневой точки. Проведен сравнительный анализ ведения противоградовых работ в Кахетии и Болгарии.

Во второй главе представлены лавиноопасные районы Грузии, рассмотрены противолавинные мероприятия и современные методы защиты от снежных лавин.

**УДК 551.576:338.978**

In the first part the history, organizational structure and applied technology of hail suppression activities conducted earlier in Georgia are reviewed. The

structure, concept, convective cloud and agent diffusion models used in ongoing hail suppression works in Bulgaria are discussed. Categories of hail-dangerous cells and hailstorms, criteria for their definition are considered along with the seeding strategy, technical means and software, and rocket launching site equipment. The comparative analysis of hail suppression activities undertaken in Georgia and currently being carried out in Bulgaria is performed.

In the second part the avalanche prone territories of Georgia are presented, anti-avalanche measures and modern methods of avalanche protection are described.

### **ტექსტში გამოყენებული სპეციალური ტერმინების გლოსარიუმი**

**აეროლოგიური ზონდირება** - ატმოსფეროში 40 კმ სიმაღლემდე მეტეოროლოგიური ელემენტების (ჰაერის ტემპერატურა და სინოტივე, ჸარი, ატმოსფერული წნევა) ვერტიკალური განაწილების გაზომვა რადიოზონდის საშუალებით.

**აეროსინოპტიკური მონაცემები** - ატმოსფეროში დიდი ტერიტორიის (რეგიონი, კონტინენტი, ნახევარსფერო) თავზე მეტეოროლოგიური ელემენტების სივრცული განაწილება, რომელიც საშუალებს იძლევა 40 კმ სიმაღლემდე დადგენილ იქნას ძირითადი ბარიული წარმონაქმნების (ციკლონი, ანტიციკლონი, ატმოსფერული ფრონტები, ტროპიკული ქარიშხლები და სხვ.) კონფიგურაცია და მოძრაობის სიჩქარე, აგრეთვე მოცემულ ტერიტორიაზე ცალკეული დრუბლებისა და საღრუბლო სისტემების განვითარების შესაძლებლობა. ადნიშნული მონაცემების მისაღებად საჭიროა სხვადასხვა. პუნქტებიდან ჩატარებული აეროლოგიური ზონდირების მასალების ერთობლივი ანალიზი.

**ამრეკლადობა (რადიოლოგაციური)** - დრუბებულში წყლის თხევადი და მყარი ნაწილაკების შემცველობისა და ზომების განმსაზღვრელი ფიზიკური სიდიდე, რომელიც გაიზომება სხვადასხვა. ტალღის სიგრძეზე მომუშავე რადიოლოგატორების საშუალებით. მისი განზომილებაა დეციბელი (dBz). ეს სიდიდე საშუალებას იძლევა რაოდენობრივად

შეფასდეს ღრუბლის სტრუქტურა და მისი სეტყვასაშიშ-როება.

**გადამეტცივებული (წყალი, წვეთი)** - უარყოფით ტემპერატურაზე თხევად ფაზაში მყოფი წყალი. მინარევების გარეშე წყლის მცირე წვეთები ატმოსფეროში ხშირად არსებობენ  $-20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე. მინარევების შეტანისას წვეთები იწყებენ გაყინვას  $-5^{\circ}\text{C}$  და უფრო დაბალ ტემპერატურაზე.

**გაზრდილი ამრეკლადობის ზონა** - ღრუბელში რადიოლოგიური ამრეკლადობის არე, რომელიც შემოსაზღვრულია ამავე ღრუბელში მაქსიმალურ ამრეკლადობაზე ერთი რიგით ნაკლები ამრეკლადობის იზოკონტრით.

**გრდემლი** - სეტყვასაშიშ სტადიაში გადასული მძლავრი კონკავიური ღრუბლის გრდემლის ფორმის მქონე ზედა ნაწილი, რომელიც ყინულის კრისტალებისგან შედგება.

**დეციბელი** - რადიოლოგიური ამრეკლადობის საზომი ერთეული (საერთაშორისო აღნიშვნა dBz).

**დიფუზიური ღრუბელი** - ღრუბელში შეტანილი რეაგენტის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი არე, რომელშიც სუბლიმაციისა და ღრუბლის წვეთებთან ურთიერთქმედების შედეგად, აგრეთვე ატმოსფერული ტურბულენციის ზეგავლენით რეაგენტის კონცენტრაცია დროში სწრაფად კლებულობს.

**ზვავი** - ფერდობიდან სიმძიმის ძალის გავლენით მოწყვეტილი გარკვეული მოცულობისა და სიჩქარის თოვლის მასაა;

**ზვავშემკრები** - ფერდობის, ხევის ან ხეობის ნაწილია, რომელზედაც წარმოქმნება, მოძრაობს და ჩერდება ზვავი;

**ზვავის კონუსი** - ზვავის მიერ ხეობაში, ან გზის საგალ ნაწილზე ჩამოტანილი თოვლის მასა, რომლის სიმაღლე ზოგჯერ ათეულობით მეტრს აღწევს;

**თერმიკი** - ატმოსფეროში კონვექციური მოძრაობის ძირითადი შემქმნელი ელემენტი, რომელიც წარმოადგენს გარემოსთან შედარებით უფრო თბილი ჰაერით დაკავებულ სფერული ფორმის მოცულობას. კონდენსაციის დონის მიღწევის შემდეგ თერმიკი, რომლის დიამეტრი ჩვეულებრივ რამდენიმე კმ-ს შეადგენს, იქცევა კონვექციური ღრუბლის შემქმნელ ელემენტად. ატმოსფეროში ღრუბელთა განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობების არსებობისას თერმიკუ-

ბის ერთობლიობა ქმნის პაერის აღმავალ ნაკადებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება კონკექტიური დრუბლები.

**კატასტროფული ზვავი** – როგორც სპორადული, ისე სისტემატური ზვავი, რომელიც სცილდება თავის ჩვეულ საზღვრებს. მისთვის დამახასიათებელია ნგრევა, დაზიანება და ადამიანთა მსხვერპლი. საქართველოში ასეთი ზვავები ტერიტორიის 36% -ზე ვრცელდება.

**კოაგულაცია** - დრუბელში წყლის წვეთების ან ყინულის კრისტალების ურთიერთშერწყმის პროცესი, რომელსაც თან სდევს საღრუბლო ნაწილაკების ზომების ზრდა და, საბოლოო ჯამში მათი გამოყოფა ნალექების სახით.

**კონდენსაცია** - ატმოსფეროში არსებულ აეროზოლურ მინარევებზე წყლის წვეთების წარმოქმნის მქანიზმი. ამ აეროზოლურ ნაწილაკებს ჩვეულებრივ კონდენსაციის გულებს ან კონდენსაციის ბირთვებს უწოდებენ.

**კონვექციური უჯრედი** - აღმავალ თერმიკებში წყლის ორთქლის კონდენსაციის შედეგად წარმოქმნილი კონვექციური დრუბლის ძირითადი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც სათანადო პირობებში შეიძლება გარდაიქმნას წვიმის ან სეტივის მომცემ მძლავრ კონვექციურ დრუბლად.

**მეტეოგრამა** - მოცემული აღგილდებარეობისთვის ატმოსფეროში მეტეოროლოგიური ელემენტების განვითარების საპროგნოზო გრაფიკი, რომელიც შეიცავს უახლოესი 5-10 დღის განმავლობაში ტემპერატურის, დრუბლებისა და ნალექების სხვადასხვა. საპროგნოზო მოდელებით გათვლილ მოსალოდნელ მნიშვნელობებს.

**მომწიფებული/სიმწიფის სტადიაში მყოფი კონვექციური უჯრედი** - მაქსიმალური განვითარების სტადიაში მყოფი უჯრედი, რომელიც ხასიათდება ჰაერის მძლავრი აღმავალი ნაკადებისა და ნალექთა მზარდი ელემენტების – წყლის წვეთებისა და სეტივის მარცვლების არსებობით. ნალექების გამოყოფასთან ერთად მომწიფებული უჯრედი იწყებს დისიპაციის სტადიაში გადასვლას.

**მრავალუჯრედიანი კონვექციური დრუბელი** - რამდენიმე უჯრედისგან შემდგარი კომპლექსური კონვექციური დრუბელი, რომელშიც უჯრედები, შესაძლებელია განვითარების სხვადასხვა. სტადიაში იმყოფებოდნენ. ასეთი ტიპის კონ-

ვაქციური დრუბელი შეიძლება დამოუკიდებლადაც ვითარდებოდეს და შეიძლება სუპერუჯრედიანი დრუბლის ფრონტალურ ნაწილსაც წარმოადგენდეს.

**ნალექთა ხელოვნური გაზრდა** - სამუშაოთა კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს შერჩეულ ტერიტორიაზე დროის გარკვეულ მონაკვეთში (თვე, სეზონი, წელი) შესაფერისი ტექნოლოგიის გამოყენებით ნალექთა რაოდენობის გაზრდას.

**ნუკლეაცია** - წყლის ორთქლის ფაზური გადასვლის პროცესი, რომლის დროსაც ატმოსფეროში არსებულ მინარევებზე, როგორც ჩანასახებზე, წარმოქმნება წყლის წვეთები ან ყინულის კრისტალები.

**რეაგენტი** - ქიმიური ნივთიერება, რომლის შეტანა დრუბელში იწვევს მისი ფაზური ან კოლოიდური მდგომარეობის დარღვევას. პირველ შემთხვევაში ეს არის მაკრისტალებელი რეაგენტი (უმეტეს შემთხვევაში იოდოვანი ვერცხლის AgI შემცველი ნივთიერება), რომლის ნაწილაკები უარყოფით ტემპერატურაზე იწვევს ყინულის კრისტალების გაჩენას საღრუბლო წვეთების გაყინვის ან წყლის ორთქლის მათზე სუბლიმაციის გზით. მეორე შემთხვევაში ეს არის ჰიგროსკოპული რეაგენტი (უმეტესწილად სუფრის მარილი NaCl), რომლის ნაწილაკები იწვევს მათზე კონდენსაციის გზით წყლის წვეთების წარმოქმნას და ამ წვეთების შემდგომ კრაგულაციურ ზრდას.

**სატელიტური ინფორმაცია** - დედამიწის მეტეოროლოგიური ხელოვნური თანამგზავრიდან მიღებული სატელევიზიო გამოსახულებები, რომლებიც სხვა ინფორმაციასთან ერთად შეიცავს მონაცემებს საღრუბლო სისტემების ტიპის, გეომეტრიული ზომებისა და გადაადგილების მიმართულებისა და სიჩქარის შესახებ.

**სისტემატური ზვავი** - ყოველწლურად ჩამოსული ზვავი. საქართველოში ასეთ ზვავებს ტერიტორიის 20% უკავიათ;

**სპორადული ზვავი** - იშვიათი განმეორადობის ზვავი, რომელიც შესაძლებელია 2-3 წელიწადში ერთხელ, ან ათეულ წელიწადში ერთხელ ჩამოვიდეს;

**სუბლიმაცია** - ატმოსფეროში არსებულ აეროზოლურ მინარევებზე ყინულის კრისტალების წარმოქმნის მექანიზმი. ამ

აეროზოლურ ნაწილაკებს ჩვეულებრივ სუბლიმაციის გულებს ან ყინულწარმომქმნელ ბირთვებს უწოდებენ.

**სუპერუჯორედიანი კონვექციური ღრუბელი** - ატმოსფეროში არ-სებული ყველაზე მძლავრი ტიპის კონვექციური ღრუბელი, რომელიც ჩვეულებრივ, განსხვავებული ჰაერის მასების შე-რევის/კონვერგენციის ზონაში ვითარდება. ამ ღრუბელს, როგორც წესი, თან ახლავს წვიმისა და სეტივის მოსვლა, აგრეთვე ჰაერის მძლავრი ვერტიკალური ნაკადის (ტორნა-დო ან შკვალი) გაჩენა. მისი სიმაღლე შეიძლება აღწევ-დეს 1517 გმ, ხოლო ჰორიზონტალური ზომები – რამდენიმე ათეულ კილომეტრს. ღრუბელმა შეიძლება იარსებოს რამ-დენიმე საათს და გაიაროს რამდენიმე ასეული კილომეტ-რი.

**ყინულიანობა** - ღრუბლის ერთეულოვან მოცულობაში ყინუ-ლის კრისტალებისა და გაყინული წვეთბის ჯამური მასა. მისი განზომილებაა გ/მ<sup>3</sup>.

**წყლიანობა** - ღრუბლის ერთეულოვან მოცულობაში თხევად ფაზაში მყოფი წყლის წვეთბის ჯამური მასა. მისი განზო-მილებაა გ/მ<sup>3</sup>.

### **შემოქმედები**

**გაზ** – გაზრდილი ამრეკლადობის ზონა.

**ნხე** – ნალექთა სელოვნური გაზრდა.

**რ/ლ** – რადიოლოკაციური.

**LED** - სინათლის გამასხივებელი დიოდი.

**RAPIRA** - რადიოლოკაციური და აეროლოგიური ინფორმაციის რეალურ დროში ანალიზის სისტემა.

**WMO** - მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია.

## შინაარსი

	12
<b>ტინასიტყვაობა.....</b>	12
<b>თავი I. სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა განახლების საკითხისათვის.....</b>	14
1. სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა ისტორია საქართველოში.....	14
1.1. საველე სამუშაოები.....	16
1.2. სამეცნიერო გამოკვლევები.....	19
1.3. არსებული მდგომარეობა.....	20
2. კახეთში წარმოებულ სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა ორგანიზაცია.....	21
3. კახეთის რეგიონში სეტყვასთან ბრძოლის გამოყენებული ტექნოლოგია.....	25
4. სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოები ბულგარეთ- ში.....	31
4.1. სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის სტრუქტურა.....	31
4.2. სამუშაოთა ორგანიზაცია.....	33
4.3. სეტყვასთან ბრძოლის კონცეფცია.....	35
4.4. აგმოსფერული პირობების აეროსინოპტიკური ანა- ლიზი.....	37
4.5. კონვექციური ღრუბლის ერთგანზომილებიანი მო- დელი მიკროფიზიკის პარამეტრიზაციით.....	37
4.6. ღრუბელში რეაგენტის გავრცელების მოდელი.....	40
4.7. სეტყვასაშიში უჯრედებისა და სეტყვიანი ღრუბ- ლების კატეგორიები და მათი განსაზღვრის კრი- ტერიუმები.....	41
4.8. ზემოქმედების სტრატეგია.....	45
4.9. ტექნიკური საშუალებები და კომპიუტერული უზრუნველყოფა.....	47
4.10. საცეცხლე წერტილის ტექნიკური აღჭურვილობა.....	51
5. კახეთსა და ბულგარეთში სეტყვასთან ბრძოლის სამუ- შაოთა წარმოების შედარებითი ანალი- ზი.....	56
<b>თავი II. ზგავსაწინააღმდეგო დონისძიებები.....</b>	61
6. ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებების კლასიფიკაცია.....	61

7.	საქართველოს ზვავსაშიში ტერიტორიები.....	62
8	ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების კატეგორიები.....	64
9	ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობები.....	65
10	ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და არტილერიის გამოყენება.....	73
11	თოვლის ზვავებისაგან დაცვის თანამედროვე მეთოდები.	74

## წინასიტყვაობა

კლიმატის გლობალური დათბობის ზეგავლენით გავლილი 20 წლის მანძილზე მსოფლიოს ყველა რეგიონში აშკარად გამოვლინდა ამინდის ექსტრემალური მოვლენების გამძაფრება, რაც დიდ ზარალს და მსხვერპლს იწვევს. საქართველოში ამ მოვლენებმა თავი იჩინა წყალმოვარდნების, ძლიერი შტორმების, მეწყერების, ზვავების და სეტყვიანობის გახშირებით. ეს შესაბამის რეაგირებას მოითხოვს ქვეყნის მთავრობის მხრიდან, რომელიც ვალდებულია გაატაროს ამ სტიქიური მოვლენებით მიუწენებული ზარალის შემარბილებელი ღონისძიებები.

კახეთი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების და მეუნახეობის ერთ-ერთ წამყვან რეგიონს წარმოადგენს, ბოლო წლებში ყოველწლიურად აღინიშნება ძლიერი სეტყვის მოსვლის შემთხვევები, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს სოფლის მოსახლეობას და იწვევს მის უკმაყოფილებას გასული საუკუნის 60-იან – 80-იან წლებში აქ წარმოებულ სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა შეწყვეტის გამო. საგულისხმოა, რომ ანალოგიური სამუშაოები რომლებიც საქართველოს გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოგვიანებით დაიწყო სხვა ყოფილ საბჭოთა რესუბლიკებში, აგრეთვე ბულგარეთში, 1990-იანი წლებიდან არ შეწყვეტილა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ამჟამადაც გრძელდება. სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოები ცალკეული პროექტების სახით მიმდინარეობს აგრეთვე აშშ-ში, კანადაში, არგენტინაში, სამხრეთ აფრიკაში, საფრანგეთში და სხვ. ყოველივე ამან განაპირობა საქართველოს მთავრობაში საკითხის დასმა კახეთის რეგიონში სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოების აღდგენის თაობაზე, რამაც გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული დარგის – სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის გაზრდაში და შექმნას რეგიონის ფერმერებისათვის ამინდის ჭირვეულობის გან უფრო დაცული შრომის პირობები. იმის გათვალისწინებით, რომ სეტყვასაწინააღმდეგო, ნალექებზე აქტიური ზემოქმედების და ზვაგსაწინააღმდეგო სამუშაოები დაკავშირებულია გარკვეული ტიპის საბრძოლო ტექნიკის გამოყენებასთან, აღნიშნული ამოცანის გადაჭრა დაევალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-

ტექნიკურ ცენტრ “დელტას”, რომელმაც 2013 წელს დაიწყო მოსამზადებელი საქმიანობა აღნიშნული მიმართულებით სამუშაოთა გასაშლელად. გასული ორი ათეული წლის მანძილზე ამ დარგში დაშვებული ჩამორჩენის დასაძლევად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბულგარეთის სეტყვასთან ბრძოლის სამსახურთან სათანადო კონტაქტების დამყარების შესახებ, რაც განპირობებულია ამ ქვეყნის გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მსგავსებით საქართველოს პირობებთან, აგრეთვე სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოთა წარმოების მაღალი დონით.

არანაკლებ დიდ ზიანს აყენებს საქართველოს მთიან რეგიონებს თოვლის ზვავებიც, რომლებთან ბრძოლის დიდი ტრადიციები გააჩნია სვანეთისა და სხვა ქუთხეების მოსახლეობას. უხვი ნალექების გახშირების გამო ამჟამად ამ მიმართულების აქტუალობაც გაიზარდა.


ამასთან დაკავშირებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტს, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ კავკასიაში სეტყვასთან ბრძოლისა და ნალექთა რეგულირების, აგრეთვე ზვავსაწინააღმდეგო სამუშაოებში, დაევალდა მოკლე მიმოხილვის მომზადება საქართველოში, და კერძოდ კახეთში, 1980-იან წლებში სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა ორგანიზებისა და ამჟამად ამ სამუშაოთა ბულგარეთში წარმოების, ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

წინამდებარე მიმოხილვა მიზნად ისახავს ზოგადად გააცნოს ქართველ ექსპერტებს აღნიშნულ დარგში ადრე და ამჟამად გამოყენებული ტექნოლოგიები და მოამზადოს ნიადაგი საქართველოში სეტყვასთან ბრძოლის და ზვავსაწინააღმდეგო სამუშაოთა ოვისობრივად ახალ ღონისძიებების აღსადგენად.

## თავი I. სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა განახლების საკითხისათვის

### 1. სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა ისტორია საქართველოში


ბოლო ორი საუკუნის მანძილზე სეტყვასთან ბრძოლა აქტუალურ პრობლემად იქცა კახეთში. გასული საუკუნის დასაწყისში ამ მიზნით უკვე გამოიყენებოდა მორტირები, რომელთა გასროლისას წარმოქმნილ აკუსტიკურ ტალღას, მაშინდელი წარმოდგენით, ხელი უნდა შეეშალა სეტყვის წარმოქმნის პროცესისათვის. ნახ. 1-ზე 1970-იანი წლების მონაცემებით წარმოდგენილია სეტყვიანობის სიხშირის განაწილება კახეთის ტერიტორიაზე.



ნახ.1. სეტემბრის განაწილება კახეთის ტერიტორიაზე 1970-იანი წლების მონაცემებით.

ამ ნახატიდან ჩანს, რომ კახეთის უმეტეს ნაწილში წელიწადში ერთ პუნქტში მოსული სეტემბრის სისქიუროდ იცვლებოდა 1-დან 3-მდე. კავკასიონის ფერდობებზე და ცივ-გომბორის ქედის მაღალ ზონაში ეს სიდიდე იზრდება 45-მდე, სეტემბრის დღეთა რაოდენობის მაქსიმუმი წელიწადში შეიძლება აღწევდეს 8-10, კავკასიონის მაღალმთიან ზონაში კი 20-ს (ნახ.2).

წყრილი: Справочник по климату СССР, вып.14.  
Облачность и атмосферные явления.  
Гидрометеиздатъ, Ленинград,  
1970, с.282-286



ნახ.2. სეტყვიან დღეთა მაქსიმალური რაოდენობის განაწილება  
კახეთის ტერიტორიაზე (1983).


## 1.1. საველე სამუშაოები

კონკექციური დრუბლებისა და მათთან დაკავშირებული ნალექების (თქეში წვიმა, სეტყვა) შესწავლა საქართველოში დაიწყო გასული საუკუნის 50-იან წლებში გეოფიზიკის ინსტიტუტსა (ა. ქარცივაძე, ა. ბუხნიკაშვილი, ა. ბალაბუევი) და პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში (ვ. ლომინაძე, ვ. გიგინევიშვილი, ი. ბართიშვილი). 50-იანი წლების დასასრულისათვის საბჭოთა კავშირში შეიქმნა სეტყვასთან ბრძოლის სპეციალური ტექნიკური საშუალებები (სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტები „პგი“, „ობლაკო“, მოგვიანებით საზენიტო ჭურვები „ელბრუსი“). დრუბლებზე დაკავირვებისა და ზემოქმედების ოპერაციების ჩასატარებლად გამოყენებოდა სამხედრო დანიშნულების რადიოლოკატორები, არს-3 ( $\lambda=3.2$  სმ) და სონ-4 ( $\lambda=10$  სმ).

სეტყვასთან ბრძოლის საცდელ-საწარმოო სამუშაოთა პირველი სამსახური გეოფიზიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით შეიქმნა 1959 წელს ალაზნის ველზე (ა. ქარცივაძე, ა. ბუხნიკაშვილი), ხოლო 1960 წელს პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტმა ანალოგიური საცდელი სამუშაოები დაიწყო ფარავნის ტბის აუზში (ვ. ლომინაძე, ი. ბართიშვილი). 1964 წლიდან საწარმოო სამუშაოები გეოფიზიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით გაიშალა კახეთის რაიონებში და პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით – ქვემო ქართლის რაიონებში. კახეთში რეაგენტის ( $\text{AgI}$ ,  $\text{PbI}_2$ ) შეჩანა დრუბლებში წარმოებდა რაკეტების საშუალებით, ხოლო ქამთ ქართლში – საარტილერიო ჭურვებით. 60-იანი წლების შუა პერიოდიდან პიდრომეტინსტიტუტში შემუშავდა სეტყვასთან ბრძოლის ორიგინალური მეთოდიკა, რომელიც გულისხმობდა დრუბლის ერთდროულ დამუშავებას საზენიტო ჭურვების გამოყენებით როგორც მაკრისტალებელი ( $\text{AgI}$ ), ისე ჰიგროსკოპული ( $\text{NaCl}$ ) რეაგენტით.

1980-იან წლებში დასაცავი ტერიტორიების ფართობმა კახეთში 650 ათასი ჰა-ს მიაღწია, ხოლო ქვემო ქართლში 350 ათას ჰა-ს (ნახ.3.). კახეთში ზემოქმედება წარმოებდა ერთ და ორსაფეხურიანი „ალაზნის“ ტიპის რაკეტების გამოყენებით, რომლებიც მზადდებოდა რუსეთში, ქ. ჩაბაევსკში.

# КАРТА РАЙОНА РАБОТ ВС ГРУЗ УГКС



## УСЛОВИЕ ОБОЗНАЧЕНИЯ

Границы заложенных территории венализированных гасейн:

- 1-Телавской, 2-Гурджаанской, 3-Сагареджской,
- 4-Чиатепцкарской, 5-Петрицкарской, 6-Мартвицкой
- ★-Командные пункты венализированных гасейн
- Пункты венализации

Границы районов работ венализированных отложений по

- вывешению подиб:
- 6-Чиркетского, 7-Храми-Параланского
- Районентра, — Территория рекуперации
- Трассы административных районов

1985

ნახ.3. სეტყვასთან ბრძოლის გასამხედროებული სამსახურის სამოქმედო ტერიტორიის სქემა. სეტყვასთან ბრძოლის გასამხედროებული ნაწილების დასაცავი ტერიტორიები: 1-თელავის, 2-გურჯაანის, 3-საგარეჯოს, 4-დედოფლისწყაროს, 5-თეთრიწყაროს, 6-მარნეულის. ნალექთა სელოვნური გაზრდის პოლიგონები: 7-ფარავნის, 8-ოორის

მათი ფასი შესაბამისად შეადგენდა 100 და 150 მანეთს. სეზონზე დაახლოებით იხარჯებოდა 10-დან 30 ათასამდე რაკეტა, რომლებიც აღჭურვილი იყო 16.8 გ მაკრისტალებელი რეაგენტით (1980 წლის დებეტი PbI<sub>2</sub>, შემდეგი AgI). ერთსაფეხურიანი რა-

კეტების მოქმედების რადიუსი შეადგენდა 5 კმ, ორსაფეხური-ანისა კი 10 კმ.

1970-იან წლებში ოპერაციების ჩასატარებლად გამოიყენებოდა მეტეოროლოგიური რადიოლოკატორები მრლ-2, ხოლო შემდგომში მრლ-5 (ნახ. 4), რომლებიც მზადდებოდა ქვორკში (ნიუნი ნოვგოროდი) და მათი დირექტულება 600-800 ათას მანეთს შეადგენდა.



ნახ. 4 მეტეოროლოგიური რადიოლოკაციური სადგური მრლ-5

კახეთის დასაცავ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 4 გასამხედროებული ნაწილი საკომანდო პუნქტებით რუისპირში (თელავის რაიონი), გურჯაანში, ბადიაურში (საგარეჯოს რაიონი) და დედოფლისწყაროში. სამუშაო სეზონი გრძელდებოდა 1 აპრილიდან 30 ოქტომბრამდე. ტერიტორიაზე მოქმედებდა 100-

მდე საცეცხლე წერტილი, რომლებიც ხელით ასრულებდა საკომანდო პუნქტიდან მიღებულ ბრძანებებს. ყველა საცეცხლე წერტილი უზრუნველყოფილი იყო საყოფაცხოვრებო პირობებითა და მისასვლელი გზებით. რამდენიმე მაღალმთიან წერტილს შვეულმფრენი ემსახურებოდა.

ქვემო ქართლში ზემოქმედება წარმოებდა საზენიტო ქვემებების „ქს“ გამოყენებით. საკომანდო პუნქტი თეთრიწყაროში იყო განთავსებული. საზენიტო ჭურვი „ელბრუსი“ შეიცავდა 16.5 გრამადე იოდოვან ვერცხლს, ან 240 გ სუფრის მარილს. თითოეული ჭურვის მოქმედების რადიუსი 12 კმ-დე აღწევდა, ხოლო დირებულება 120 მანეთს შეადგენდა. ოპერაციების ჩასატარებლად აქაც გამოიყენებოდა მრლ-2 და მრლ-5 რადიოლოგატორები. საცეცხლე წერტილები ხელით იმართებოდა.

80-იან წლებში იყო მცდელობა ზემოქმედების ოპერაციები ავტომატურ რეჟიმში ჩატარებულიყო, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოების პარალელურად 1980-იან წლებში გასამხედროებული სამსახური 2 პოლიგონზე აწარმოებდა აგრეთვე ნალექთა ხელოვნური გაზრდის (ნხგ) საცდელ საწარმოო სამუშაოებსაც. იორის პოლიგონზე, პიდრომეტეოროლოგის ინსტიტუტის სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობით, ეს სამუშაოები ტარდებოდა თელავის გასამხედროებულ ნაწილში შემავალი ცალკე რაზმის მიერ, ხოლო ფარავნის პოლიგონზე – თეთრიწყაროს ნაწილში შემავალი რაზმის მიერ.

## 1.2. სამეცნიერო გამოკვლევები

სეტყვასთან ბრძოლის ოპერატიულ სამუშაოებთან ერთად 1960-იანი წლებიდან საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა ღრუბელთა ფიზიკისა და ნალექთა რეგულირების დარგში თეორიული და ლაბორატორიული სამუშაოებიც. გეოფიზიკის ინსტიტუტში თეორიული გამოკვლევები მირითადად კონცენტრირებული იყო სეტყვის წარმოქმნის პროცესებზე მაკრისტალებელი რეაგენტის ზემოქმედების შესწავლაზე, ხოლო პიდრომეტეოროლოგის ინსტიტუტში – ნალექწარმომქმნელ პროცესებზე პიგროსკოპული რეაგენტის გავლენის დადგენაზე. 1970-იან წლებში ორივე ინსტიტუტში ღრუბლებში მიმდინარე

პროცესების ექსპერიმენტული მოდელირებისთვის აგებულ იქნა საღრუბლო კამერები.

გეოფიზიკის ინსტიტუტის 40 მ სიმაღლის კამერაში -30°C-მდე ტემპერატურის პირობებში შეისწავლებოდა სეტყვის მარცვლების ზრდის თავისებურებები ხოლო ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის 250 მ მოცულობის კამერაში – დადგებით ტემპერატურაზე მიმდინარე ნალექწარმოქმნის პროცესები. ამ კამერებშივე და უფრო მცირე დანადგარებში გამოიცდებოდა სხვადასხვა ტიპის რეაგენტები.

სეტყვასთან ბრძოლის დარგში საქართველოში წარმოებულ სამუშაოთა პონერული ხასიათის აღიარებას მოწმობდა ის ფაქტი, რომ 1962 და 1969 წლებში თბილისში ჩატარდა ღრუბელთა ფიზიკისა და აქტიური ზემოქმედების მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციები, ხოლო შემდგომ წლებში ქართველი მეცნიერები ფართოდ მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ ამ მიმართულების მრავალ შეხვედრებში.

### 1.3. არსებული მდგომარეობა

1990 წლიდან დაწყებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა დამანგრეველი ზემოქმედება მოახდინა სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოებზე: ფინანსირების შეწყვეტის გამო გაპარტახდა საკომანდო პუნქტები, განადგურდა რადიოლოგიკაციური ტექნიკა, სარაკეტო და საარტილერიო დანადგარები გამოყენებულ იქნა სამოქალაქო დაპირისპირების საბრძოლო მოქმედებებში, გაიფანგი ზემოქმედების კვალიფიციური კადრები, რომელთაგან ამჟამად მხოლოდ 10 სპეციალისტამდეა შემორჩენილი. ამრიგად, აღნიშნულ დარგში საველე სამუშაოთა აღდგენა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ფაქტობრივად ნულიდან იქნება საწარმოებელი.

რაც შეეხება სამეცნიერო გამოკვლევებს, ისინი შეზღუდული სახით გრძელდება გეოფიზიკისა და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტებში. პირველ მათგანში ეს სამუშაოები მოიცავს, ძირითადად, კახეთის რეგიონში ჩატარებული სამუშაოების შედეგების ანალიზს და სეტყვის ზრდის პროცესების ცალკეული ასპექტების შესწავლას, ხოლო მეორეში – კონვექციური ღრუბლების მოდელირების საკითხებს.

## **2. კახეთში წარმოებულ სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა ორგანიზაცია**

1960 წლიდან კახეთში სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოებს აწარმოებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სეტყვასთან ბრძოლის გასამხედროებული სამსახური. მის ოპერატორულ საქმიანობას სამეცნიერო-მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი. დაარსების დღიდან 1986 წლამდე სამსახურს ხელმძღვანელობდა გეოფიზიკის ინსტიტუტის ღრუბელთა ფიზიკის განყოფილების გამგე ა.ქარცივაძე. 1986 წლიდან გასამხედროებული სამსახური შევიდა საქართველოს პიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამმართველოს დაქვემდებარებაში, რაც გამოწვეული იყო სსრკ ტერიტორიაზე სეტყვასთან ბრძოლის ყველა ქვედანაყოფების ერთიანი მეთოდიკით მუშაობის მოთხოვნით.

1980-იანი წლებისთვის კახეთის ტერიტორიაზე მოქმედი სეტყვასთან ბრძოლის გასამხედროებული სამსახური (სბგს), რომელიც აწარმოებდა 650 ათას ჰა ფართობზე სეტყვისაგან დაცვის სამუშაოებს, შედგებოდა 4 გასამხედროებული ნაწილისაგან, რომელთა საკონაციო პუნქტები მდებარეობდა რუსპირში (თელავი), გურჯაანში, ბადიაურში (საგარეჯო) და ქოჩებში (დედოფლისწყარო). ნაწილების შეთანხმებულ მუშაობას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა რუსპირში განთავსებული სბგს ცენტრალური სამმართველო, რომელიც შედგებოდა შემდეგი განყოფილებებისაგან: ადმინისტრაცია, ზემოქმედების, რადიოლოკაციის, სარაკეტო ტექნიკის, კავშირგაბმულობისა და სამეურნეო განყოფილებები.

- ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა სამსახურის საქმიანობას ყველა სფეროში: საკადრო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, აგრეთვე სამეცნიერო-მეთოდურ საკითხებში. შესაბამისად, მასში შედიოდა კადრების სექტორი და ბუღალტერია.

- ზემოქმედების განყოფილება უზრუნველყოფდა ოთხივე გასამხედროებულ ნაწილში ზემოქმედების სამუშაოთა ერთიანი მეთოდიკით წარმოებას, დღის განმავლობაში ჩატარებული ზემოქმედების შესახებ, ანგარიშების შედგენას და მათ დეტალურ განხილვას, სეზონის დასრულების შემდეგ სამსახურში

ჩატარებული ზემოქმედების ოპერაციების შეჯამებას, ანალიზ-სა და ჯამური ანგარიშის შედგენას.

- რადიოლოგიური განყოფილება უზრუნველყოფდა გასამხედ-როებულ ნაწილებში მოქმედი რადიოლოგიკაციური სადგურების გამართულ მუშაობას, სადგურების პარამეტრების შესაბამისო-ბას მიღებულ სტანდარტებთან.
- სარაკეტო ტექნიკის განყოფილების მოვალეობაში შედიოდა საცეცხლე წერტილებზე (ზემოქმედების პუნქტებზე) მოქმედი სარაკეტო გამშვები დანადგარების გამართული მუშაობის უზ-რუნველყოფა, საკომანდო პუნქტიდან მიღებული ბრძანებების ოპერატორული შესრულება, რაკეტების შენახვისა და პუნქტებზე დისციპლინის წესების დაცვა.
- კავშირგაბმულობის განყოფილება უზრუნველყოფდა ცენტრა-ლური საკომანდო პუნქტის კავშირს ხელმძღვანელ ორგანოებ-თან და საპაერო მოძრაობის მართვის ცენტრთან, კავშირს გა-სამხედროებული ნაწილების საკამანდო პუნქტებსა და საცეც-ხლე წერტილებს შორის.
- სამეურნეო განყოფილება ახორციელებდა სამსახურის მომა-რაგებას საბრძოლო ტექნიკით (რადიოლოგიკორებით, რაკეტუ-ბითა და გამშვები დანადგარებით), ავტოტრანსპორტითა და საწვავით, ფორმის ტანსაცმლით, საკომანდო პუნქტებისა და საცეცხლე წერტილების ფუნქციონირებისათვის საჭირო მასა-ლებით და სხვ.

თითოეულ გასამხედროებულ ნაწილში შედიოდა დაახლო-ებით 20-25 ზემოქმედების პუნქტი, რომლებზედაც მომსახურე პერსონალი უზრუნველყოფილი იყო მინიმალური საყოფაცხოვ-რებო პირობებით (მცირე ზომის მარტივი სახლი, მაღალმთიან პუნქტებზე-კარავი), გაზეურით, ელექტრომომარაგებითა და მი-სასვლელი გზით. მაღალმთიან პუნქტებზე რაკეტებისა და სხვა მასალების მისაწოდებლად გამოიყენებოდა ვერტმფრენი, რომე-ლიც სამუშაო სეზონზე მიმაგრებული იყო გასამხედროებულ სამსახურზე.

თითოეული გასამხედროებული ნაწილის ბაზა წარმოად-გენდა მისასვლელი გზით, ელექტრო - და წყალმომარაგებით უზრუნველყოფილ შემოფარგლულ ტერიტორიას, რომელზედაც განთავსებული იყო ერთი ან რამდენიმე რადიოლოგიკაციური სადგური, სტანდარტული ტიპის საკომანდო პუნქტი სრული

წრიული ხილვადობით, ადმინისტრაციული შენობა, მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი კორპუსები, სახელოსნოები და დამხმარე სათავსოები.

გასამხედროებული სამსახურის ცენტრალური ბაზა მოიცავდა ცენტრალური საკომანდო პუნქტის სამსართულიან შენობას, რომელშიც დამონტაჟებული იყო 2 რადიოლოკაციური სადგური, განთავსებული იყო ზემოქმედებისა და კავშირგაბმულობის ცენტრები, სამსახურის ადმინისტრაცია და განყოფილებები, სააქტო დარბაზი და სხვა სათავსოები. ცენტრალურ ბაზაზე ცალკე შენობა ეგავა აეროსინოპტიკურ ჯგუფს, რომელიც სპეციალური არხებით ღებულობდა თანამგზავრულ და აეროსინოპტიკურ ინფორმაციას ატმოსფეროში 20 კმ სიმაღლემდე კავკასიის რეგიონის ფარგლებში მიმდინარე პროცესების შესახებ და მიღებული მონაცემების საფუძველზე იძლეოდა დღე-დამის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენების პროგნოზს. ცენტრალურ ბაზაზე ფუნქციონირებდა აგრეთვე სასტუმრო, სასადილო და ბიბლიოთეკა. აქვე განთავსებული იყო სამსახურის ცენტრალური საწყობი, ავტოფარეხი, სახელოსნოები და მომსახურე პერსონალის 2 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი. ბაზა უზრუნველყოფილი იყო სპეციალური დადუბლირებული ელექტრო მომარაგებით, საკუთარი წყალმომარაგებით და წყლის გამწმენდი ნაგებობით. ბაზიდან 1 კმ მოშორებით აგებული იყო რაკეტების სპეციალურად დაპროექტებული საწყობი, რომლიდანაც მარაგდებოდნენ ცალკეული გასამხედროებული ნაწილები.

გასამხედროებულ სამსახურში ზემოქმედების სეზონი გრძელდებოდა აპრილის დასაწყისიდან ოქტომბრის ბოლომდე. ნოემბერ-დეკემბერში მიმდინარეობდა ჩატარებული სამუშაოების შეჯამება, ანალიზი და ანგარიშების გაფორმება, ხოლო თებერვალ-მარტში ტარდებოდა ზემოქმედების, რადიოლოკაციის, სარაკეტო ტექნიკისა და კავშირგაბმულობის განყოფილებათა მომსახურე პერსონალის ტრეინინგები.

ზემოქმედების სეზონის განმავლობაში თითოეულ გასამხედროებულ ნაწილში ახალი სამუშაო დღე იწყებოდა 12 საათზე, როდესაც სპეციალისტების საერთო კრებაზე ჯამდებოდა გასული დღე-დამის შედეგები და იგეგმებოდა მომავლი დღე-დამის საქმიანობა. რუსპირის ცენტრალურ საკომანდო

პუნქტზე თათბირს (შტაბის სხდომას) ესწრებოდა სამსახურის მთელი ხელმძღვანელობა. მოხსენებას გავლილ დღე-დამეში ჩატარებული საქმიანობის შესახებ აკეთებდა გავლილი დღის სამსახურის მორიგე ხელმძღვანელი, რომელიც, როგორც წესი, ინიშნებოდა სამსახურის ხელმძღვანელი პერსონალიდან. ზემოქმედების ჩატარების შემთხვევაში სამუშაო დღის ანალიზისას დეტალურად იხილებოდა ზემოქმედების ჩატარებული ოპერაციები და ფასედებოდა მათი ეფექტურობა. თუ დასაცავ ტერიტორიაზე ადგილი პქნდა სეტყვის მოსვლის შემთხვევას, განიხილებოდა დასეტყვილი ტერიტორიის შემოწმების შედეგები, რომელსაც ოპერატიულად ატარებდა სპეციალურად მომზადებული ჯგუფი. ამის შემდეგ განიხილებოდა სხვა გასამხედროებულ ნაწილებში ჩატარებული სამუშაოების შედეგები.

ჩატარებული ოპერატიული მუშაობის შეჯამების შემდეგ მოისმინებოდა აეროსინოპტიკური ჯგუფის ხელმძღვანელის ინფორმაცია, რომელიც შეიცავდა გავლილი დღის აეროსინოპტიკური სიტუაციის დიაგნოზს და მომავალი დღის პროგნოზს. ამ ინფორმაციის საფუძველზე მიიღებოდა გადაწყვეტილება მომავალი დღის განმავლობაში ოპერატიული საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ინიშნებოდა დღის მორიგე შემადგენლობა. თათბირის ჩატარება 12 საათზე განპირობებული იყო იმით, რომ ამ დროისთვის უნდა მოსწრებულიყო წინა დღეს ჩატარებული ზემოქმედების ოპერატივების შესახებ ანგარიშის შედგენა, რაც ძლიერი პროცესების შემთხვევაში საკმაოდ შრომატევად პროცედურას წარმოადგენდა. ამავე დროს მხედველობაში მიიღებოდა ისიც, რომ კახეთის რეგიონში ადგილობრივი ძლიერი კონვექციური პროცესები, უმტკესწილად, დღის მეორე ნახევარში ვითარდება, ხოლო ფრონტალურ პროცესებს, ძირითადად, საღამოსა და დამის საათებში აქვს ადგილი.

დაახლოებით ანალოგიური წესით ტარდებოდა ყოველდღიური თათბირ-გარჩევები რეგიონის სხვა გასამხედროებულ ნაწილებშიც. გასამხედროებული სამსახურის მუშაობა და მისი შედეგები მუდმივად იმყოფებოდა რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელობის ყურადღების ქვეშ, რაც უზრუნველყოფდა მის საქმიანობაში სისტემატიური დახმარების გაწევას.

წარმოებულ სამუშაოთა გარემოზე ეპოლოგიური ზემოქმედების შესაფასებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის, გეოფიზიკის და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტების სპეციალიზებული ჯგუფების მიერ კახეთის ტერიტორიაზე სისტემატურად წარმოებდა შესაბამისი გამოკვლევები.

1970-იანი წლების დასასრულს სეტყვასთან ბრძოლის გასამართლოებულ სამსახურში შეიქმნა ნალექთა ხელოვნური გაზრდის (ნხ) სპეციალიზებული ქვედანაყოფი, რომელსაც დაევალა ნალექთა ხელოვნური გაზრდის მიზნით საცდელ-საწარმოო სამუშაოების ჩატარება სიონის წყალსაცავის აუზში. 2 რადიოლოგიკაციური სადგურით აღჭურვილი ამ რაზმის საკომანდო პუნქტი იმყოფებოდა გორშეერდენის სერზე თიანეთის რაიონში და 1990 წლამდე ატარებდა ზემოქმედების ოპერაციებს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობის ქვეშ. რაზმის შემადგენლობაში შედიოდა 5 საცეცხლე წერტილი და სამოქმედო ტერიტორია შეადგენდა 100 ათას ჰა-ს. საკომანდო პუნქტს ემსახურებოდა აეროსინოპტიკური ჯგუფი, პუნქტი უზრუნველყოფილი იყო სათანადო საყოფაცხოვრებო პირობებით.

გასამხედროებულ სამსახურში სათანადო უერადდება ექცეოდა ახალი კადრების მომზადებას. 1970-იანი წლების მეორე ნახევარში თელავის ი.გოგებაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო პროგრამაში შეტანილ იქნა სეტყვასთან ბრძოლის პრაქტიკასთან დაკავშირებული საგნების სწავლება (ზოგადი მეტეოროლოგია, ღრუბელთა ფიზიკა, აქტიური ზემოქმედების საფუძვლები, სინოპტიკური მეტეოროლოგია და სხვა), რაც უზრუნველყოფდა სეტყვასთან ბრძოლის სამსახურისთვის რეგიონის მოსახლეობიდან საშუალო რგოლის სპეციალისტთა მომზადებას.

1991 წლიდან შეწყდა სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა დაფინანსება, მოიშალა მისი ორგანიზაციული სტრუქტურა და განივივდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამჟამად შემოწენილია საკომანდო პუნქტების ცალკეული ელემენტები რუსეთში და ბადიაურში.

### 3. კახეთის რეგიონში სეტყვასთან ბრძოლის გამოყენებული ტექნოლოგია

1960 წლიდან კახეთში სეტყვასთან ბრძოლის პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და უცხოეთის ქვეყნებში წარმოებულ სამუშაოებში დაგროვილი

ცოდნის გათვალისწინებით, 1980-იანი წლებისთვის სეტყვასთან ბრძოლის გასამხედროებულ სამსახურში სეტყვასთან ბრძოლის ტექნოლიოგია მოიცავდა შემდეგ ძირითად ელემენტებს:

1. აეროსინოპტიკური სიტუაციის გათვალისწინებით საკომანდო პუნქტიდან წრიული რადიოლოკაციური (რ/ლ) მიმოხილვის პერიოდულად ჩატარება. მიმოხილვის რადიუსი, ჩვეულებრივ,  $R=100$  კმ შეადგენდა და ტარდებოდა მრავ სადგურის  $\lambda=3.2$  სმ ტალღის სიგრძის დიაპაზონში. იმის გათვალისწინებით, რომ კახეთის რეგიონში სეტყვასაშიში ღრუბლების გადაადგილების სიჩქარე საშუალოდ 30 კმ/სთ შეადგენს, დაკვირვების ეს რადიუსი საქმარის ღროს იძლეოდა დასაცავი ტერიტორიიდან საქმარო დაშორებული ღრუბლების (კოვექციური უჯრედების) ან მათი სისტემების აღმოსაჩენად და მათზე ზემოქმედებისთვის მოსამზადებლად. მიღებული ინფორმაციის დასაზუსტებლად მიმოხილვები ტარდებოდა  $R=300$  და 50 კმ რადიუსებშიც. ინტერვალები მიმოხილვებს შორის შეირჩეოდა აეროსინოპტიკური სიტუაციის გათვალისწინებით და, როგორც წესი, 1 სთ არ აღმატებოდა.

2. რ/ლ დაკვირვების რადიუსში ( $R=100$  კმ) მძლავრი კონკეციური ღრუბლების (Cu cong. Cb) რადიოექოს აღმოჩენისას დაკვირვებები უწყვეტ რეჟიმზე გადადიოდა, იზომებოდა და დაკვირვების ურნალში ფიქსირდებოდა მათი პარამეტრები: ღრუბლის სიმაღლე, მაქსიმალური ამრეკლადობის აზიმუტი და მანძილი, გაზრდილი ამრეკლადობის ზონის (გაზ) გეომეტრიული ზომები (სიგრძე/სიგანე, დიამეტრი, ზედა და ქვედა საზღვრის სიმაღლეები), მაქსიმალური რ/ლ ამრეკლადობა. გაზ აღნიშნავდა ღრუბლის იმ მოცულობას, რომლის რ/ლ ამრეკლადობა ერთი რიგით ნაკლები იყო ღრუბლის მაქსიმალურ ამრეკლადობაზე. ამ მონაცემებით განისაზღვრებოდა ღრუბლის (ან მათი სისტემის) მოძრაობის სიჩქარე და სეტყვასაშიშროება.

3. აღმოჩენილი კონკეციური ღრუბლების სეტყვასაშიშ სტადიაში გადაზრდისა და დასაცავი ტერიტორიისკენ მოძრაობის დადგენის შემთხვევაში საპაერო მოძრაობის მართვის ცენტრში გადაეცემოდა ნებართვის მოთხოვნა საპაერო სივრცის ავიაციისთვის გადასაკეტად სამოქმედო ტერიტორიისა და ზემოქმედების ხანგრძლივობის საფარაუდო მითითებით. მოთ-

ხოვნა უნდა გადაცემულიყო სათანადო წინწასწრებით (დაახლოებით 1 საათით ადრე), რათა ამ დროში მოსწრებულიყო ფრენებში სათანადო კორექტივების შეტანა. აღსანიშნავია, რომ სბგს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც სხვადსხვა მიზეზებით ნებართვის მიუღებლობის შედეგად დასაცავ ტერიტორიაზე შემოსულა, ან მის თავზე განვითარებულა სეტყვიანი ღრუბელი და, ზემოქმედების გარეშე დარჩენილს, მოუცია სეტყვა.

4. ზემოქმედების ჩასატარებლად ნებართვის მოთხოვნის გადაცემასთან ერთად საცეცხლე წერტილები სრული საბრძოლო მზადყოფნისა და უწყვეტი რადიოკავშირის რეჟიმში გადადიოდა.

5. სეტყვასაში/სეტყვიანი ღრუბლის დასაცავ ტერიტორიასთან მიახლოებისას ან მის საზღვრებში შემოსვლისას/მის თავზე განვითარებისას ზემოქმედების ხელმძღვანელის მიერ გაიცემოდა ბრძანება ზემოქმედების დაწყების შესახებ. ზემოქმედების პროცედურა მოიცავდა შემდეგ ოპერაციებს:

ზემოქმედების პარამეტრების განსაზღვრა სეტყვასაში/ში ღრუბლის/უჯრედის რადიოლოკაციური მონაცემების საფუძველზე. ზემოთ დასახელებული მონაცემები რადიოლოკატორის ეკრანზე აითვლებოდა და გაზრდილი ამრეკლადობის ზონის კონტურები ხელით დაიტანებოდა დასაცავი ტერიტორიის პლანშეტზე. (სეტყვასაში/ში ღრუბლის მოახლოებისას რ/ლ დაკვირვებები  $\lambda=10$  სმ ტალღის სიგრძის დიაპაზონში გადადიოდა). პარალელურად, გაზრდილი რ/ლ ამრეკლადობის ზონის, მისი გეომეტრიული ზომების და მაქსიმალური ამრეკლადობის მიხედვით სპეციალური ცხრილის მიხედვით განისაზღვრებოდა ღრუბლის სეტყვასაში/შროება და მასზე ერთჯერადი ზემოქმედების ჩასატარებლად საჭირო რაკეტების რაოდენობა.

გაზ კონტურებისა და მაქსიმალური რ/ლ ამრეკლადობის არის პლანშეტზე დატანის შემდეგ სპეციალური შიმშის დახმარებით შეიორჩეოდა ზემოქმედების ჩასატარებლად ოპტიმალურად განლაგებული საცეცხლე წერტილი/წერტილები და გაიცემოდა ბრძანება აქედან შესაბამისი ტიპის (მოქმედების რადიუსის, ანუ ერთ-თუ ორსაფეხურიანი „ალაზნის“) და რაოდენობის რაკეტების მოცემული აზიმუტით და ვერტიკალური კუთხით გაშვების შესახებ. ზემოქმედებაზე გახარჯული რაკეტების

ბის რაოდენობა სბგს პრაქტიკაში დიდ დიაპაზონში იცვლებოდა სუსტი სეტყვასაშიში ღრუბლის საწვიმარ სტადიაში გადასაყვანად ზოგჯერ 2-3 რაკეტაც კი ყოფილა საკმარისი, მაშინ რადესაც განვითარების სტადიაში მყოფი მრავალუჯრედიანი ფრონტალური ღრუბლის თითოეულ უჯრედზე ხანდახან 100-ზე მეტი რაკეტაც კი გახარჯულა. განსაკუთრებით მძიმე ვითარება იქმნებოდა დასაცავ ტერიტორიაზე ერთდროულად ბევრი სერვერასაშიში ღრუბლის შემოჭრის/წარმოქმნის შემთხვევაში. ამ დროს ზემოქმედებას დასაცავი ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში/სეტტორში ერთდროულად რამდენიმე პირი ხელმძღვანელობდა და საცეცხლე წერტილებს ანომალური დატვირთვით უწევდათ მუშაობა. თუ ზემოქმედების შედეგად არ შეიმჩნეოდა კონკრეტული უჯრედის სეტყვასაშიშროების შემცირება, ზემოქმედების პროცედურა შესაბამისი დოზირებით უნდა გამეორებულიყო და ეს გრძელდებოდა მანამდე, სანამ ღრუბელი არ დაიწყებდა შესუსტებას ან გასვლას დასაცავი ტერიტორიის გარეთ. ინტერვალუბი ზემოქმედების გამეორებას შორის შეირჩეოდა ზემოქმედების ხელმძღვანელის მიერ რადიოლოგიური პარამეტრების ცვლილების ტრენდისა და შექმნილი სიტუაციის მიხედვით.

6. ზემოქმედების ჩატარების პროცესში უწყვეტად გრძელდებოდა რ/ლ დაკვირვებები როგორც ზემოქმედებაქმნილ, ასევე ახალ კონგენიურ უჯრედებზე, რომლებიც უახლოვდებოდა დასაცავ ტერიტორიას, ან წარმოიქმნებოდა მის თავზე. დაკვირვებები წყდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ღრუბლები წამყვანი ნაკადის მიმართულებით სტროგარენში  $R=100$  კმ რადიუსით აღარ დაიკვირვებოდა კონვექციის ახალი კერების გაჩენა. ამავე დროს ისესნებოდა ნებართვის მოთხოვნა საპარო მოძრაობის მართვის ცენტრიდან.

7. დასაცავ ტერიტორიაზე ღრუბლის სეტყვასაშიშ სტადიაში დიდი ხნით (12 სთ) ყოფნის შემთხვევაში ან სეტყვის მოსკლის შესახებ ინფორმაციის მიღებისას სავარაუდოდ დასეტყვილ ტერიტორიაზე იგზავნებოდა სპეციალისტთა ჯგუფი შესაძლო ზარალის (ფართობი, დაზიანების ხარისხი) დასადგენად.

8. ქონკრეტული სამუშაო დღის განმავლობაში ჩატარებული ზემოქმედების ოპერაციების შესახებ დგებოდა სრული დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავდა შემდეგ ინფორმაციას:

- გასამხედროებულ ნაწილში ამ დღეს მორიგე შემადგენლობის სრული სია;
  - ინფორმაცია გასული დღის აეროსინოპტიკური სიტუაციისა და სამუშაო დღის ამინდის პროგნოზის შესახებ;
  - დღის განმავლობაში ჩატარებული რ/ლ დაკვირვებების სრული ცხრილი ცალკეული უჯრედების/ღრუბლების რ/ლ პარამეტრების დროში ცვლილების მითითებით;
  - თითოეულ უჯრედზე ჩატარებული ზემოქმედების სრული აღწერილობა გახდარჯული რაკეტების ტიპისა და რაოდენობის მითითებით, დასაცავი ტერიტორიის რუკაზე/პლანშეტზე მათი გაზ და მაქსიმალური ამრეკლადობის არის ტრაქტორიის ჩვენებით;
  - სამუშაო დღის სრული ანგარიში ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის ანალიზითა და ჯამური შედეგების ჩვენებით, აგრეთვე დღის განმავლობაში მორიგე შემადგენლობის საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორების აღწერით (შეფერხებები რადიოლოკატორების, ზემოქმედების ტექნიკისა და კავშირგაბმულობის მუშაობაში, ზემოქმედების ნებართვის მიღებაში, ზემოქმედების დაგვიანება, რაკეტების მარაგის ამოწურვა საცეცხლე წერტილებზე და სხვ.).

სამუშაო დღის ანგარიშები აღნიშნული ფორმით დგებოდა ყველა გასამხედროებულ ნაწილში, სეზონის დასრულების შემდეგ იკრიბებოდა რუსპირის ცენტრალურ ბაზაზე და მათ საფუძველზე ხდებოდა სბგს ჩატარებული ზემოქმედების ოპერაციების სრული წლიური ანგარიშის შედეგენა.

ნარე პროცესების დროს ხშირად ამცირებდა ზემოქმედების უფლებულობას.

სეტყვასაში მოდებლის ოპერატიული მოდელისა და კომპიუტერული ტექნიკის უქონლობის გამო სეტყვასაში დრუბლების მოსალოდნელი განვითარების პროგნოზი დგებოდა კახეთის რეგიონისაგან მოშორებით (თბილისში). ჩატარებული რადიოსონდირების მონაცემების გამოყენებით, წვეულებრივ ებაგრამაზე აგმოსფეროს თერმული არამდგრადობის პირობების გათვლის გზით. ეს გარემოება არ იძლეოდა რეგიონში მდლავრი კონცენტრის განვითარების პირობების რეალური შეფასების შესაძლებლობას. გარდა ამისა, საიმედო მოდელური გამოთვლების შედეგების უქონლობა შეუძლებელს ხდიდა რადიოლოგაციურ მონაცემთა საშუალებით ზემოქმედების უფლების სარწმუნო დონეზე დადგენას. ამასთან ერთად, დასაცავი ტერიტორია არ იყო აღჭურვილი ნალექმზომი ხელსაწყოების ადექვატური ქსელით.

ზემოქმედების უფლებულობის დადგენას ართულებდა აგრეთვე მსგავს ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში მყოფი საკონტროლო ტერიტორიის არარსებობა, ამიტომ უფლებულობის კონტროლისათვის ძირითადად გამოიყენებოდა სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა დაწყებამდე არსებული მოსავლის სახელმწიფო დაზღვევის მონაცემები და იშვიათად დრუბლებზე რ/ლ დაკირვების მასალები. ეს მონაცემები სეზონის დასრულების შემდეგ საფუძვლად ედებოდა ჩატარებულ სამუშაოთა ეკონომიკური უფლებულობის ჯამურ შეფასებას, რისთვისაც სეზონზე გაწეული საერთო ხარჯები დარდებოდა სეტყვისგან პიპოთეტურად გადარჩენილ მოსავლის დირებულებას.

საცეცხლე წერტილებზე საკომანდო პუნქტიდან მიღებული ბრძანებების შესრულება წარმოებდა ხელით, რაც განსაკუთრებით დამის საათებში და ინტენსიური მუშაობის პირობებში, შეცდომის დიდ ალბათობას შეიცავდა. 80-იან წლებში იყო მცდელობა რაკეტების გამშვები დანადგარების საკომანდო პუნქტიდან ავტომატურ მართვაზე გადაყვანისა, თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა.

კომპიუტერული ტექნიკის უქონლობის გამო ზემოქმედების მასალების არქივირება ქაღალდზე წარმოებდა და ეს მონაცემები გეოფიზიკის ინსტიტუტში ინახებოდა. მონაცემთა ანალი-

ზი და განზოგადება პერიოდულად ტარდებოდა გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ.

#### 4. სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოები ბულგარეთში

სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოები ბულგარეთში დაიწყო 1968 წელს, როდესაც პლოგდივის რაიონში გაიხსნა სეტყვასთან ბრძოლის პირველი ქვედანაყოფი. 2001 წლამდე სეტყვასთან საბრძოლველად გამოიყენებოდა რუსული წარმოების რაკეტები “პგიმ”, “ობლაკო”, “ალაზანი”-1 და “ალაზანი”-2. 1994 წლიდან დაიწყო აგრეთვე “ალაზანის” მოდიფიცირებული რაკეტების გამოყენება, რომლებიც აღჭურვილია იოდოვანი ვერცხლის (AgI) შემცველი რეაგენტით.


ამჟამად დრუბლებზე ზემოქმედება წარმოებს 9 საკომანდო პუნქტიდან. დასაცავი ტერიტორიის ფართობი შეადგენს 17257 კვ.კმ ანუ 1მლნ 725.7 ათას ჰა-ს და იგი მოიცავს 4 რაიონს დუნაის ვაკეზე და 4 რაიონს თრაკიის დაბლობზე.

#### 4.1. სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის სტრუქტურა

სეტყვასთან ბრძოლის საკომანდო პუნქტების განლაგება ბულგარეთის ტერიტორიაზე და მათი საერთო ხედები მოყვანილია ნახ.5-ზე. სათანადო მასშტაბის გამოყენებით ამ ნახაზიდან მიიღება. რომ საშუალო მანძილი საკომანდო პუნქტებს შორის დაახლოებით ტოლია 60კმ. თითოეული საკომანდო პუნქტის დასაცავი ტერიტორია საკმარის ფართო დიაპაზონში იცვლება 150-დან 300 ათას ჰა-მდე და საშუალო შეადგენს 220 ათას ჰა-ს. ხაგულისხმოა, რომ სამხრეთით თრაკიის სექტორში ერთ დასაცავ ტერიტორიას ორი საკომანდო პუნქტი იცავს.\*

თითოეული საკომანდო პუნქტი აღჭურვილია  $\lambda=3.2$  და 10 სმ ტალღის სიგრძეზე მომუშავე ორტალდიანი დოკლერის მეტეოროლოგიური რადიოლოკატორით, რომლებიც გამოიყენება ზემოქმედების ოპერაციების ჩასატარებლად. ამასთან ერთად, 3 საკომანდო პუნქტზე განთავსებულია მრლ-5 ტიპის 3 რადიოლ-

- 
- **შენიშვნა:** ხაზგასმული დახრილი შრიფტით მოცემულია ტექსტის ქართული ვერსიის შემდგენელთა კომენტარები.




ნახ.5 ბულგარეთის სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის დასაცავი ტერიტორიებისა და საკომანდო პუნქტების განლაგების სქემა.

ოკიციური სადგური (ნახ.6), რომლებიც 150 კმ რადიუსში სისტემატურად აწარმოებს დაკვირვებას საღრუბლო სისტემებზე და რეალურ დროში გადასცემენ მეტეოროლოგიურ ინფორმაციას ამინდის მოვლენების განვითარების შესახებ სოფიაში მდებარე საინფორმაციო ცენტრს და ზემოქმედების პუნქტებს (საცეცხლე წერტილებს) ზემოქმედების ოპერაციებისთვის მათი მზადყოფნის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ინფორმაცია შეიცავს მონაცემებს დაკვირვების რადიუსში წვიმის ზონების, ღრუბელთა მაქსიმალური სიმაღლისა და რადიოლოკაციური (რ/ლ) ამრეკლადობის, ღრუბელთა გადადგილებისა და მათი სიჩქარის შესახებ, აგრეთვე რაოდენობრივ მონაცემებს წვიმის

ინტენსივობისა და რაოდენობის, ქარის მიმართულებისა და სიჩქარის შესახებ.

### Network for transfer of real time radar meteorological information


The three radars MRL-5 transfer real time radar data to informative center-Sofia and to remote posts IRIS Display, where hail suppression operations carry out.



ნახ.6 მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიმღები მრლ-5 რადიოლოკატორების განლაგება დასაცავ ტერიტორიაზე.

#### 4.2.სამუშაოთა ორგანიზაცია

ბულგარეთის სეტყვასთან პრძოლის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა ნაჩვენებია ნახ.7-ზე. მოყვანილი სქემის მარცხნია ნაწილში პირველ/ზედა ადგილზე განთავსებულია საჭარო მოძრაობის მართვის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო და სამხედრო ავიაციისგან საპარო სივრცის გახსნას ზემოქმედების ოპერაციების ჩასატარებლად. მისი



ნახ.7 ბულგარეთის სეტყვასთან პრძოლის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა

ნებართვის გარეშე ზემოქმედება დრუბლებზე აკრძალებია. საპატიო მოძრაობის მართვის ცენტრის ქვეშ განთავსებულია საკომანდო პუნქტის ბლოკი, რომელიც შეიცავს წრიული მიმოხილვისა და ზემოქმედების ოპერაციების სამართავ რადიოლოგიურებს, ინტერნეტთან დაკავშირებულ შესაბამის მეტეოროლოგიურ კომპიუტერს, საკომუნიკაციო კომპიუტერს, რადიოკავშირისა და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებს. საკომანდო პუნქტიდან წარმოებს დაკვირვებები სადრუბლო სისტემებზე, სეტყვასაშიში დრუბლების შერჩევა, მათზე ზემოქმედების ხელმძღვანელობა და ზემოქმედების ოპერაციების კონტროლი. ამ პროგრამით მომუშავე თითოეული საკომანდო პუნქტი მჭიდრო კავშირში იმყოფება დანარჩენ საკომანდო პუნქტებთან, აგრეთვე მათ დასაცავ ტერიტორიაზე მასზე მიმაგრებულ საცეცხლე წერტილებთან, რომლებიც გაერთიანებულია სქემის მარჯვენა ნაწილში მოთავსებულ ბლოკში. რადიოლოგი-


აციური ინფორმაციის საფუძველზე საკომანდო პუნქტზე გამომუშავებული ბრძანების შესაბამისად ამ წერტილებიდან წარმოებს რაკეტების გაშვება.

#### 4.3.სეტყვასთან ბრძოლის კონცეფცია

ბულგარეთში სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოები ეკრდნობა ზემოქმედების შედეგად სეტყვასაში ღრუბელში სეტყვის წარმომშობი მაკონკურირებელი ბირთვების კონცენტრაციის ხელოვნური გაზრდის კონცეფციას, რამაც უნდა უზრუნველყოს განვითარების ადრეულ ფაზაში მყოფი ღრუბლის გადაზრდა საწვიმიან სტადიაში, ან სეტყვის მარცვლების ზრდა მცირე ზომებამდე. ამ მიზნის მისაღწევად ღრუბლის გადამეტცივებული ნაწილის მინუს 10°C-დან მინუს 20°C-მდე გაზრდილი რ/ლ ამრეკლადობის არეში შეტანილი უნდა იქნას საკმარისი რაოდენობის მაკრისტალებელი ოეაგენტი, რომელიც გამოიწვევს მცირე წვეთების გაყინვას და მათ კონკურენციას ღრუბელში არსებული წყლის ორთქლის მისათვისებლად. შედეგად წარმოქმნილი სეტყვის მრავალრიცხოვანი მცირე ნაწილაკები ღრუბლიდან ვარდნისას ასწრებენ გადნობას და მიწამდე აღწევენ წვიმის წვეთების სახით

ეს კონცეფცია სამართლიანია იმ შემთხვევაში, თუ ღრუბელში შეტანილი რეაგენტის რაოდენობა საკმარისია ღრუბელში არსებული გადამეტცივებელი მცირე წვეთების დასაწისტალებლად. თუკი ღრუბლის გადამეტცივებულ არეში უკვე არსებობს დიდი რაოდენობით სეტყვის მარცვლები ან მწევილი წვეთები. მაშინ შეტანილ რეაგენტს შეუძლია მხოლოდ მათი შემდგომი ზრდის შეფერხება და არა სეტყვის მოხვდის თავიდან აცილება. კონცეფცია სამართლიანია ავრცელი იმ შემთხვევაში, როდესაც ღრუბელში წყლის ორთქლის მიწოდება ლიმიტირებულია, რაც განაპირობებს ხელოვნურად წარმოქმნილ ბირთვებს შორის კონკურენციას. თუმცა, თუ ღრუბელი ვითარდება ისეთ პირობებში, როდესაც წყლის ორთქლის მიწოდება პრაქტიკულად შეუხდებავის (მაგ. მძლავრი ფრონტალური პროცესების დროს), მაშინ კონკურენციის მექანიზმი კარგავს აზრს და სეტყვის წარმოშობის პროცესი შეიძლება უმართავად მიმდინარეობდეს.

სეტყვასაშიში ღრუბლის მოდელად შერჩეულ იქნა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) მიერ 1996 წელს შემოთავაზებული სეტყვის მრავალუჯრედიანი ღრუბლის სქემა (ნახ.8), რომლის ზედა საზღვარი ე.წ. “გრძელების” სახით შეიძლება აღწევდეს 17 ქმ სიმაღლეს  $-55^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. ღრუბლის მარჯვენა ნაწილში გამოსახულია მძლავრი



ნახ.8. სეტყვის მრავალუჯრედიანი ღრუბლის სქემა.

აღმავალი ნაკადებით მკვებავი ღრუბლის სიმწიფის სტადიაში მყოფი უჯრედი, რომელიც იძლევა წვიმასა და სეტყვას. ღრუბლის გამუქებული არე შეესაბამება გაზრდილი ამრეკლადობის არის მდებარეობას, სადაც თავმოყრილია ღრუბელში არსებული, სამივე ფაზაში მყოფი წყლის უმეტესი ნაწილი და რომელშიაც წარმოებს წვიმის წვეთებისა და სეტყვის მარცვლების ზრდა. ღრუბლის მარცხენა ნაწილში წარმოებს ჰაერის შედარებით სუსტი აღმავალი ნაკადებით მკვებავი ახალი უჯრედების წარმოქმნა, რომელიც შესაფერისი აეროსინოპტიკური პირობების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გაძლიერდეს და

შემდგომში მიაღწიოს აგრეთვე სიმწიფის სტადიას. სქემაზე გამოსახული დრუბელი, როგორც წესი, კითარდება მოძრავი ატმოსფერული ფრონტის პირობებში. ახალი უჯრედების ჩასახვა ხდება ფრონტან ერთად მოძრავი დრუბლის წინა ნაწილში, ხოლო წვიმისა და სეტყვის გამოყოფა— მის შეა და უკანა ნაწილში. კონვექციის განვითარებისთვის განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობების არსებობისას შესაძლებელია მოხდეს რამდენიმე მრავალუჯრედიანი დრუბლის შერწყმა, რის შედეგადაც წარმოიქმნება ე.წ. სუპერუჯრედიანი დრუბელი. ამ ტიპის დრუბლის ჰორიზონტალური ზომები ჩვეულებრივ რამდენიმე ათეულ კმ-ს აღწევს და არსებობის ხანგრძლივობა — რამდენიმე საათს. ზემოქმედება ასეთ დრუბელზე ძალზე გართულებულია მისი დიდი ზომების, მასში თავმოყრილი წყლის მარაგისა და მეტად მძლავრი აღმავალი ნაკადების არსებობის გამო, რომლებსაც შეუძლია დრუბელში შეტანილი რეაგენტის სწრაფი გატანა დრუბლის გრდემლში და მის გარეთ ისე, რომ იგი ვერ ასწრებს ურთიერთქმედებას გაზრდილი ამრეკლადობის არეში არსებულ ნაწილაკებთან.

#### **4.4. ატმოსფერული პირობების აეროსინოპტიკური ანალიზი**

დრუბელთა განვითარების პირობების დასაღვენად და მათი პროგნოზირებისათვის საჭირო აეროსინოპტიკური მონაცემები მოიცავს მიწისპირა ამინდის და აეროსინოპტიკურ რუკებს 850, 700 და 500 პეტოპასკალ (პპ) ბაროულ სიმაღლეებზე, საპროგნოზო მოდელებს, მეტეოგრამებს და მეტეოროლოგიური თანამგზავრებიდან მიღებულ სატელიტურ ინფორმაციას.


ატმოსფეროს ფიზიკური მდგომარეობის ანალიზისათვის გამოიყენება აეროლოგიური ზონდირების მონაცემები, რომელთა საფუძველზე აიგება კონვექციური დრუბლის ერთგანზომილებიანი მოდელი.

#### **4.5. კონვექციური დრუბლის ერთგანზომილებიანი მოდელი მიკროფიზიკის პარამეტრიზაციით**

ატმოსფეროს მოცემული სტრატიფიკაციის პირობებში კონვექციური დრუბლის განვითარებისა და მისგან მიღებული ნალექის პროგნოზირებისათვის გამოყენებულია სოფიას უნივერსიტეტში დამუშავებული დრუბლის ერთგანზომილებიანი მოდელი. იგი ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ღრუბელში მიმდინარე მიკროფიზიკური და დინამიკური პროცესები ურთიერთდამოკიდებულია;
- მოდელში მიკროფიზიკური პროცესების პარამეტრიზაციის ბლოკი განიხილავს წყლის შემცველობის 5 კლასს (წყლის ორთქლი, ღრუბელში არსებული წყალი, წყიძა, ღრუბელში არსებული ყინულოვანი ფრაქცია, ყარი ნალექები);
- ღრუბლის მახასიათებლები სიმაღლის ფუნქციას წარმოადგენს;
- ნალექთა ტიპის (სეტეფა თუ წვიმა) საპროგნოზო კლასიფიკაციის ფუნქციები მიიღება საფეხურიანი დისკრიმინანტები ანალიზის გამოყენებით.

ღრუბელში მიმდინარე მიკროფიზიკური პროცესების განხილული სქემა მოცემულია ნახ.9-ზე.



ნახ.9. ღრუბელში მიმდინარე მიკროფიზიკური პროცესების ურთიერთკავშირის სქემა.

სქემის მიხედვით აღმავალი ნაკადებიდან და წვეთების აორ-თქლების შედეგად მიღებული წყლის ორთქლი იხარჯება კონ-დენსაციასა და სუბლიმაციაზე. კონდენსაციის შედეგად მიღე-ბული დრუბლის წვეთები განიცდიან კოაგულაციას და წარ-მოქმნიან წვიმის წვეთებს, ხოლო სუბლიმაციისა და დრუბლის წვეთების გაყინვის შედეგად წარმოქმნილი დრუბლის კრისტა-ლები საკონტაქტო ნუკლეაციის გზით აგრეთვე წარმოქმნიან წვიმის წვეთებს. ამ წვეთების კოაგულაციისა და გაყინვის შე-დეგად მიიღება სერყვის მარცვლები, რომლებზედაც დამატე-ბით კიდევ ხდება დრუბლის წვეთების დალექა (აკრეცია) და წყლის ორთქლის სუბლიმაცია.

გამოოვლების ჩასატარებლად საწყის პირობებად მიიჩნევა:

- დრუბლის წარმომქმნელი საბაზისო ელემენტის, თერმიკის რადიუსი დრუბლის ფუძის დონეზე  $R_0=5\text{ mm}$ , ხოლო მისი საწ-ყისი აღმავალი სიჩქარე  $W_0=5\text{ J}/\text{mm}$ .
- გამოოვლებში გამოყენებული მუდმივების, საწყისი და ზღვრული სიღრღების მნიშვნელობები მიღებულია ექსპერი-მენტული გამოკვლევების შედეგად.

მოდელის შემავალი მონაცემები:

- ატმოსფეროს რადიოზონდირების /აეროლოგიური ზონდი-რების მონაცემები;
- მიწისპირული მეტეოროლოგიური მონაცემები ტემპერატუ-რა და ფარდობითი სინოტიკე, დღის მაქსიმალური ტემპე-რატურა;
- სეტემბერის მიზიდული დრუბლის ტიპი: ფრონტალური (კონვერგენ-ციული) ან შიდამასიური, განსაზღვრული სინოპტიკური ანალიზის საფუძველზე.

მოდელური გამოოვლების შედეგად მიიღება დრუბლის შემდეგი მახასიათებლები:

- შესაბამის სიმაღლეზე ტემპერატურის სხვაობა დრუბლის შიგნით და მის გარეთ;
- შესაბამის სიმაღლეზე აღმავალი ნაკადის მაქსიმალური სიჩქარე;
- შესაბამის სიმაღლესა და ტემპერატურაზე დრუბლის მაქ-სიმალური წყლიანობა;

- შესაბამის სიმაღლესა და ტემპერატურაზე დრუბლის მაქ-  
სიმაღლერი ყინულიანობა;
- ფენების სისქე აღმავალი ნაკადების მაქსიმალური სიჩქა-  
რეებით 20, 25, 30მ/წმ;
- დრუბლის შიდა ტემპერატურის ვერტიკალური განაწილე-  
ბა, რაც საჭიროა დრუბელში შეტანილი რეაგენტის დიფუ-  
ზიის გამოსათვლელად;
- მოსული ნალექის პროგნოზირებული კატეგორია (სეტყვა  
თუ წვიმა).

#### **4.6. დრუბელში რეაგენტის გავრცელების მოდელი.**

ზემოქმედების პროცესში რეაგენტის ოპტიმალური დოზი-  
რების მიზნით დამუშავდა რეაგენტის დიფუზიის მოდელი, რო-  
მელიც ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- დრუბელში რეაგენტი ვრცელდება ტურბულენტური დიფუ-  
ზიის გზით;
- ყინულწარმომქმნელი ბირთვების ყინულის ჩანასახებად  
გარდაქმნის პროცესში წყაროდან გარკვეულ მანძილზე  
წარმოქმნება ყინულის ჩანასახების ფიქსირებული კონ-  
ცენტრაცია;
- მცირე ზომების გამო რეაგენტის ნაწილაკები გაიტანება  
გარეთ კონვექციური ნაკადების მიერ, რომლებიც დაიკვირ-  
ვება რეაგენტის შეგანის არეში, რის შემდეგაც ხდება მა-  
თი გავრცელება ტურბულენტური დიფუზიის მექანიზმით.

მოდელის შემავალი მონაცემებია:

- რაკეტების ტრაექტორიის აქტიური ნაწილი;
- ფრენის დროს გენერატორის მიერ ყინულწარმომქმნელი  
ბირთვების წარმოქმნის ინტენსივობა;
- რაკეტის ეფექტურობის კოეფიციენტი;
- დრუბელში ტემპერატურის ვერტიკალური განაწილება;
- აღმავალი ნაკადი რეაგენტის შეტანის არეში;
- რეაგენტის გავრცელების დრო და მასშტაბი;
- ყინულწარმომქმნელი ბირთვების კონცენტრაცია დიფუზიუ-  
რი დრუბლის საზღვარზე;
- ტურბულენტური ენერგიის დისიპაციის ვერტიკალური სიჩ-  
ქარე;

- ტურბულენციური ენერგიის დისიპაციის პორიზონტალური სიჩქარე; დიფუზიური მოდელის გამოყენებით ხდება შემდეგი პარამეტრების გაანგარიშება:
- დიფუზიის არის მოცულობა ყინულწარმომქმნელი ბირთვების მოცემული კონცენტრაციით;
- რაკეტის გაშვების ვერტიკალური კუთხე სხვადასხვა სიმაღლეზე მყოფი საცეცხლე წერტილებისთვის.

#### 4.7. სეტყვასაშიში უჯრედებისა და სეტყვიანი ღრუბლების კატეგორიები და მათი განსაზღვრის კრიტერიუმები

ბულგარეთის სეტყვასთან ბრძოლის სამსახურში მიღებულია სეტყვასაშიში და სეტყვიანი ღრუბლების დაყოფა ხუთ კატეგორიად (ცხრილი 1).

ცხრილი 1. სეტყვასაშიში და სეტყვიანი ღრუბლების კატეგორიები

Categories of hail-dangerous cells and hailstorms. Criteria				
	Zmax dBz	ΔH dBz	Development of cells	Seeding
I	$45 \leq Z \leq 50$	$\Delta H_{45} \geq 1.5\text{ km}$	Slowly growing, with Zmax 15-25dBZ, reaching slowly Zmax 35-40dBZ, $H_{15\text{dBz}} \geq H - 10^\circ\text{C}$ . Small gradient of radar reflectivity  Zmax 45dBz arises at a height $\leq H - 10^\circ\text{C}$ and grows slowly in height	Continuous observation  If $\Delta H_{45\text{dBz}}$ grows more than 2 km, the cells are seeded
II	$40 \leq Z < 45$	$\Delta H_{40} \geq 3\text{ km}$	Rapidly growing, with Zmax 15-25dBZ, Zmax reaching 35-40dBZ for 1-2 minutes. High gradient of radar reflectivity and growth of the cell in all directions. $H_{15\text{dBz}} \geq H - 20^\circ\text{C}$	The cells are seeded with the purpose of early rainout
III	$45 \leq Z < 50$	$\Delta H_{45} \geq 2\text{ km}$	High formation of an area with 45dBZ $H_{45\text{dBz}} \geq H - 10^\circ\text{C}$	The cells are seeded when 45dBz shows
IV	$50 \leq Z \leq 55$	$\Delta H_{45} \geq 3\text{ km}$	Hailstorms	The seeding starts immediately
V	$Z \geq 55$	$\Delta H_{45} \geq 4\text{ km}$	Hailstorms	The seeding starts immediately

პირველ (I) კატეგორიას მიეკუთვნება შედარებით სუსტი და ნელა განვითარებადი კონვექციური უჯრედები, რომელთა მაქ-სიმალური რ/ლ ამრეკლადობა  $Z_{max}$  მოთავსებულია 45-დან 50 დეციბელამდე (დბ) შუალედში. უჯრედი ნელ-ნელა იზრდება 15-25დბ-დან 35-40დბ-მდე. მაქსიმალური ამრეკლებადობა 45 დბ-ს აღწევს  $-10^{\circ}\text{C}$  იზოთერმის სიმაღლეზე და აგრძელებს სიმაღ-ლეში მდორედ ზრდას. განვითარების საწყის სტადიაში უჯ-რედზე უნდა წარმოებდეს უწყვეტი რ/ლ დაკვირვებები, ხოლო თუ 45 დბ-მდე მიღწეული გაზრდილი ამრეკლადობის ზონის (გაზ) ვერტიკალური სიმძლავრე  $\Delta H45$  დბ 1.5 კმ-დან 2 კმ-მდე მიაღწევს, საჭიროა მასზე ზემოქმედების ჩატარება

მეორე (II) კატეგორიაში შედის სწრაფად მზარდი კონვექ-ციური უჯრედები, რომელთა  $Z_{max}$  15-25დბ-დან 12 წთ-ის განმავ-ლობაში იზრდება 35-45 დბ-მდე. უჯრედის 40დბ-მდე მიღწეული გაზ ვერტიკალური სიმძლავრე  $\Delta H40$  დბ უნდა აღემატებოდეს 3კმ-ს და მისი ზომები უნდა იზრდებოდეს უკელა მიმართულე-ბით. 15 დბ ამრეკლადობის ზონა უნდა აღწევდეს მინუს  $20^{\circ}\text{C}$  იზოთერმის სიმაღლეს. ასეთი ტიპის უჯრედებზე ზემოქმედება ტარდება წვიმის მოსვლის დაჩქარების მიზნით. ალბიზულ შემთხვევაში ზემოქმედება ორ მიზანს ემსახურება. პირველი მათგანი ითვალისწინებს უჯრედში/ღრუბელში ჰაერის დაღმა-გალი ნაკადების ხელოვნურად შექმნას, რაც თან სდევის ღრუბ-ლიდან ნაღების გამოყიფას. შექმნილი დაღმავალი ნაკადი ას-უსტებებს ღრუბლის ზრდის განმაპირობებელ აღმაკალ ნაკადს და ამით აფერხებს სეტყვასა შიში ღრუბლის სეტყვიან ფაზაში გათავსოთას. გარდა ამისა, ღრუბლიდან შესაძლო სეტყვის ნაც-კლას დამატებითი წვიმის მიღება, რომელიც წესი, სახისკითხი აღვება სასოფლო-სამუშაოების კულტურების ზრდა-განვითარე-ბას. ამასთან ეთავთ, თუ ზემოქმედება ტარდება რაიმე წყალ-საცავის წყალშემცრების ფარვლებში, ღრუბლიდან მიღებული დამატებითი წვიმა ზრდის ამ წყალსაცავის საირიგაციო და ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს.

მესამე (III) კატეგორიაში გაერთიანებულია 45-დან 50 დბ-მდე მაქსიმალური ამრეკლადობის მქონე უჯრედები, რომელთა 45დბ ამრეკლადობის მქონე გაზ-ის ვერტიკალური სიმძლავრე აღემატება 2კმ-ს და 45 დბ ამრეკლადობის მქონე არე იმყოფება  $-10^{\circ}\text{C}$  იზოთერმის სიმაღლის ზევით. ზემოქმედება ასეთ უჯ-

რედებზე იწყება მაშინ, როდესაც  $Z_{max}$  აჭარბებს 45დბ ფარგლებს.

მეოთხე (IV) კატეგორიაში მოქცეულია სეტყვიან სტადიაში გადასული კონვექციური უჯრედები, რომელთა  $Z_{max}$  იცვლება 50-55დბ ფარგლებში. 45 დბ-მდე მიღწეული გაზის ვერტიკალური სიმძლავრე  $\Delta H_{45}$  დბ აღემატება 3კმ-ს და მათზე დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ზემოქმედება.

მეხუთე (V) კატეგორიაში შედის 55დბ-ზე მაღალი მაქსიმალური რ/ლ ამრეკლადობის მქონე უჯრედები, რომელთა 45დბ-იანი გაზის ვერტიკალური სიმძლავრე 4 კმ აღემატება. ასეთი უჯრედები, უმეტესწილად უკვე შეიცავს სეტყვის მარცვლებს და მათზე ასევე დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ზემოქმედება.

სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის გამართული მუშაობის პირობებში ბოლო თრი კატეგორიის სეტყვიანი ღრუბლები, როგორც წესი, დასაცავ ტერიტორიაზე მის ფარგლებს გარეთან უნდა შემოიტოვეს და მათზე ზემოქმედება მიზნათ ისახავს სეტყვის მარცვლების რაოდენობისა და ზომების შემდგომი ზრდის პირობების მინიმუმამდე დაყვანას.

#### 4.8. ზემოქმედების სტრატეგია

სეტყვასაში დრუბლებზე ზემოქმედების სტრატეგია ეყრდნობა ორ ძირითად პრინციპს:

- I. ზემოქმედებისას რეაგენტი შეტანილი უნდა იქნას იმ არებში, სადაც თავმოყრილია გადამეტციებული წყლის დიდი რაოდენობა და სუსტია აღმავალი ნაკადი. ყინულწარმოქმნელი ბირთვების შეტანა დრუბლებში უნდა წარმოებდეს რეგულარული ინტერვალებით უწყვეტად, უჯრედის/დრუბლის სეტყვასაში სტადიაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.
- II. რეაგენტის გაფრქვევის მომენტიდან ნაწილაკების მაკონკურირებელი ზომების მიღწევამდე საჭიროა დაახლოებით 3 წუთი. ამიტომ რეაგენტის შეტანის დონე უნდა იყოს შერჩეული იმგვარად, რომ დიფუზიური დრუბლის პორიზონტალურმა კვეთამ მიაღწიოს  $-10^{\circ}\text{C}$  იზოთერმის დონეს იმ დროს, როდესაც ნაწილაკების ზომები მიაღწივენ მაკონკურირებელ ზომებს.

\* იზოლირებული ერთუჯრედიანი (შიდამასიური) ღრუბლები


მუშავდება 2 სქემით (ნახ. 10). უმოძრაოდ განვითარებადი ღრუბლის/უჯრედის შემთხვევაში (A) რეაგენტი შეჰყავთ გაზრდილი ამრეგვლადობის ზონის (45 დბ) შეზანილში  $-10^{\circ}\text{C}$  იზოთერმის დონეზე; მოძრავი უჯრედის შემთხვევაში (B) რეაგენტის შეცვანა უნდა მოხდეს იგივე დონეზე გაზის მოძრაობის მიმართ ფრონტალურ ნაწილში, რათა უზრუნველყოფილ იქნას დიფუზიური ღრუბლის სრული შეცვლა გაზში.

### **Types of hailstorms depending on the structure and the dynamics of development. Seeding areas**

#### **ISOLATED SINGLE-CELL (air mass process)**


Suppression of the hail formation process is realized by the seeding

##### **Stationary cells**



A

##### **Moving cells**




B

ნახ.10 ერთუჯრედიანი კონვექციური ღრუბლის დამუშავების სქემები: (A) უძრავი, (B) მოძრავი

\* მრავალუჯრედიანი ღრუბლის შემთხვევაში (ნახ.11) ზემოქმედების, ანუ ღრუბლის დამუშავების მიზანს შეადგენს მისი განვითარების სტაბილურობის დარღვევა ღრუბლის ფრონტალურ ნაწილში მზარდი, ე.წ.”შვილობილი” უჯრედებიდან წვიმის გამოწვევით, რაც ხელს შეუშლის სიმწიფის სტადიაში


მყოფ უჯრედში სეტენის ფორმირებას. ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, რეაგენტის შეტანა უნდა მოხდეს  $-10^{\circ}\text{C}$  იზოთერმის არეში. ნახაზის მარცხენა სურათზე, ანალოგიურად ნახ.4-ზე მოცემული სქემისა, ახალი მზარდი უჯრედები ვითარდება მარცხნივ მოძრავი ღრუბლის წინა ნაწილში, ე.წ. გრდემლის ქვეშ, ხოლო მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია რადიოლოკატორის ეკრანიდან გადაღებული მრავალუჯრედიანი ღრუბლის გერგიკალური ჭრილი, სადაც კარგიდ ჩანს მარცხნიდან მარჯვნივ მოძრავი ღრუბლის უკანა მხარეში მუქი მომწიფების უჯრედი და წინა ნაწილში განვითარებადი, შედარებით ნაკლები ამრეკლადობის მქონე ბაცი უჯრედები. ნახაზის შეა ნაწილში მოცემულია რადიოლოკატორის წრიული მიმოხილვის ინდიკატორიდან (ეკრანიდან) მიღებული შესაბამისი სურათი.



ნახ.11. მრავალუჯრედიანი კონვექციური ღრუბლის დამუშავების სქემა

\* ზემდღავრ კონვექციურ, ე.წ. სუპერუჯრედიან ღრუბელზე (ნახ.12) ზემოქმედება მიზნად ისახავს მისი კვეაზისტაციონარუ-

ლი მდგომარეობის დარღვევას ღრუბლის ფრონტალურ ნაწილში ე.წ. “ხორთუმის” ქვეშ განვითარების სტადიაში მყოფ უკრედებში რეაგენტის შეტანით, რამაც უნდა შეაჩეროს სეტყვის ახალი ჩანასახების ზრდა.



ნახ.12. სუპერუჯრედიანი კონვექციური ღრუბლის დამუშავების სქემა

ნახაზის მარცხენა ნაწილში სქემაზურად ასახულ სუპერუჯრედიან ღრუბელში რეაგენტის შეტანას მოძრაობის მიმართულებით მის უკანა ნაწილში აზრი არა აქვს, რადგან იგი გამოირცხება ღრუბლიდან გამოყოფილი ნალექებით, ხოლო შეანაწილში შეტანილი რეაგენტი, ჰაერის მძლავრი აღმავლი ნაკადებით, მყისიერად ატანილი იქნება ღრუბლის გრდემლში და გადატანილი იქნება თავისუფალ ატმოსფეროში. ნახაზის ქვედა შეანაწილში გამოსახულია რადიოლოგიკატორის ეკრანიდან მიღებული სუპერუჯრედიანი ღრუბლის ვერტიკალური ჭრილი, რომელზედაც ჯვრით აღნიშნულია რეაგენტის შესატანი არე. სქემაზე ნაჩვენები ღრუბლისაგან განსხვავებით ლოკატორის

ეკრანზე ასახული ღრუბელი მოპირისპირე მიმართულებით, მარცხნიდან მარჯვნივ მოძრაობს. სუპერუჯრედიანი ღრუბლები, როგორც წესი, ფრონტალური კონვერგენციის პირობებში ვითარდება. საჭართველოში სუპერუჯრედიანი ღრუბლების პრიზონერალური ზომები, ჩვეულებრივ, ორჯერ და მეტად აღემატება მათ ვერტიკალურ სიმძლავრეს.

#### 4.9.ტექნიკური საშუალებები და კომპიუტერული უზრუნველყოფა

ბულგარეთის სეტყვასთან ბრძოლის სამსახურში ზემოქმედების ოპერაციების სრული ციკლის ჩასატარებლად შექმნილია რადიოლოგიური და აეროლოგიური ინფორმაციის რეალურ დროში ანალიზის სისტემა, რომლის აბრევიატურაა RAPIRA.

**MRL 5 – IRIS** მეტეოროლოგიურ მოვლენებზე დაკირვების, მათი მონიტორინგისა და პროგნოზირების მძლავრი ქვესისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რეალურ დროში ინფორმაციის მიღებას;


**FIRE HAIL** კომპიუტერული პროგრამა ღრუბლებზე ზემოქმედებისთვის საჭირო მონაცემთა მოსამზადებლად, რომელიც გამოიმუშავებს ზემოქმედების ბრძანებებს;

**FIRE W** საკომუნიკაციო და საინფორმაციო ქვესისტემა სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტების კონტროლისა და გაშენების სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამით.

პირველი მათგანი **MRL 5 IRIS** ( $\lambda=10$  სმ) ქვესისტემა უზრუნველყოფს საღრუბლო სისტემის დისპლეიზე გამოსახულების მიღებას და სეტყვასაშიში უჯრედების შერჩევას, რაც საშუალებას იძლევა დადგენილ იქნას ღრუბლის სტრუქტურა, რეაგენტის შესატანი არის ადგილმდებარეობა და რადიუსი, ზემოქმედების პროცედურის დასაწყისი და დასასრული, აგრეთვე სხვადასხვა რ/ლ ამრეკლადობის არების სიმაღლე. ეს მონაცემები გადაეცემა **FIRE HAIL** ქვესისტემას (მოდულს).

**MRL 5 – IRIS** ქვესისტემის მიერ გამომუშავებულ საიფორმაციო მონაცემთა ნიმუში მოყვანილია ნახაზზე 13, რომელზედაც ნაჩვენებია წრიული მიმოხილვის ინდიკატორზე დაფიქსირებული საღრუბლო სისტემები (ზემოთ) და შერჩეული სეტყვასაშიში ღრუბლის ვერტიკალური ჭრილი (ქვემოთ). აქვე მოცემულია

რადიოლოგატორით გაზომილი სიდიდეების ციფრული ამონაბ-  
ეჭდები.




ნახ.13. MRL5 – IRIS საინფორმაციო ქვესისტემების საშუალებით მიღებულ მონაცემთა წარმოდგენის მაგალითი

მეორე ქვესისტემა **FIRE HAIL** მოდული ეყრდნობა აგმოს-ფეროს რადიოზონდირების მონაცემებს, რომელთა საფუძველ-ზე ხდება აგმოსფეროს თერმოდინამიკური მახასიათებლების გამოთვლა, ღრუბელთა განვითარების პირობების შეფასება, მოსალოდნელი ნალექების ტიპის პროგნოზირება და ღრუბელ-ში შეტანილი რეაგენტის გავრცელების პარამეტრების დადგენა. აგმოსფეროს ვერტიკალური ზონდირების შედეგად მიღებული აეროლოგიური დიაგრამისა და მის საფუძველზე კომპიუტერული პროგრამის საშუალებით გამოთვლილი მახასიათებლების ციფრული სახით წარმოდგენის მაგალითი მოყვანილია ნა-ხაზზე 14.

### FIRE Hail Module Aerological sounding

It calculate thermodynamic characteristics of the atmosphere, necessary for analysis of atmospheric conditions and cloud characteristics, forecasting of the type of precipitation and calculating of the diffusion cloud of the agent.



ნახ.14. FIRE HAIL მოდულის საშუალებით გამოთვლილი ატმოსფეროს თერმოდინამიკური მახასიათებლების წარმოდგენის მაგალითი

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, აგრეთვე **MRL 5 – IRIS** ქვესისტემიდან მიღებული კონვექციური დრუბლების მახასიათებლების გათვალისწინებით **FIRE HAIL** კომპიუტერული პროგრამა განსაზღვრავს ზემოქმედებისათვის შესაფერის საცავებლე წერტილებს, რაკეტების გამშვებ აზიმუტებსა და ვერტიკალურ კუთხეებს, აგრეთვე რეაგენტის შესატანი არის მოცულობას. შესაბამისი ბრძანებები გადაეცემა **FIRE W** ქვესისტემას/მოდულს. ციფრული ფორმით წარმოდგენილი, ზემოქმედების ჩასატარებლად საკომანდო პუნქტიდან გაცემული ბრძანებების ნიმუში წარმოდგენილია ნახაზზე 15. აქვე ნაჩვენებია დასაცავ ტერიტორიაზე საცეცხლე წერტილების განლაგების სქემა (პლანშეტი), რომელზედაც მუქი წრეებით დატანილია აგრეთვე რეაგენტის შეტანის არეაბი.

## Module Recommendation for firing

ნახ.15. . FIRE HAIL მოდულის საშუალებით გამოთვლილი ზე- მოქმედების ჩატარების ბრძანებები

ნახაზიდან ჩანს, რომ საკომანდო პუნქტიდან ზემოქმედების ოპერაციების ჩატარებას ემსახურება დაახლოებით 20 საცეცხლო, რაც ახლოსაა კანკოს რეგიონში საცეცხლო წერტილების განლაგების სიმძიმეოვანობას. ბუღარეთში 9 საკომანდო პუნქტის მიმედულების არეში საცეცხლო წერტილების საკრთვო რაოდენობა დაახლოებით 180 უნდა იყოს.

**FIRE HAIL** მოდულიდან მიღებული ბრძანებების შესაბამისად **FIRE W** მოდულის საშუალებით ჩატარებული ზემოქმედების კოპიუტერული ფორმით წარმოდგენილი შემაჯამებელი დოკუმენტაციის ნიმუში მოყვანილია ნახაზზე 16.

## FIRE Hail - Module Automatic formation of information about hail suppression operation

The information includes data about every process cell at live time, recommendations and real firings, area of cell track, as well as general information about all the hail suppression operation.

Бърдарски геран

Режим на работа:      Боец  
Отпечатано: 25/07/2008 20:18:21

Справка за реализирани въздействия

Записвачка

Език/Изглед

№ Въздействие:	7	Начало: петък, Юли 25, 2008 19:24:	Край:	петък, Юли 25, 2008 19:26:									
Кодови №:	Градивна пътна карта	13367	Бронирани:	12	Етап на обработка: 00:04:11								
Положение:	Дало Пътна	Дало Стрелба	Лат.	Дълж.	Азимут	Радиус	Лат.	Дълж.	Азимут	Радиус	Възможни конф.		
1	13367	25/07/2008 19:25:21	25/07/2008 19:25:30	стР	13° 43' 36.2"	23° 45.7"	288	22 000	1500				
1	13367	25/07/2008 19:25:41	25/07/2008 19:25:50	стР	13° 43' 36.2"	23° 45.7"	288	22 000	1500				
2	13367	25/07/2008 19:25:41	25/07/2008 19:25:50	стР	13° 43' 34.4"	23° 45.6"	282	15 000	1500				
Дало Пътна карта:	РП	Азимут	Евклид	%	Ранета	Дист[м]	ЦЛ	РП	Дало Стрелба	Време за изп.	Азимут	Евн.	Ранета
25/07/2008 19:25:41	14	285	60	100	ицс	3 762		14	25/07/2008 19:24:39	00:01:58	285	60	ицс А
25/07/2008 19:25:41	16	130	60	100	ицс	2 347							
25/07/2008 19:25:41	25	370	65	95	2	1 459							
3	13367	25/07/2008 19:25:31	25/07/2008 19:25:50	стР	13° 43' 34.3"	23° 45.5"	282	15 000	1500				
Дало Пътна карта:	РП	Азимут	Евклид	%	Ранета	Дист[м]	ЦЛ	РП	Дало Стрелба	Време за изп.	Азимут	Евн.	Ранета
25/07/2008 19:25:31	14	290	60	100	ицс	2 807		14	25/07/2008 19:26:52	00:01:21	290	60	ицс А
25/07/2008 19:25:31	16	130	60	100	ицс	3 221							
25/07/2008 19:25:31	25	370	65	95	2	1 454							
3	13367	25/07/2008 19:25:31	25/07/2008 19:25:50	стР	13° 43' 34.3"	23° 45.5"	282	15 000	1500				
Дало Пътна карта:	РП	Азимут	Евклид	%	Ранета	Дист[м]	ЦЛ	РП	Дало Стрелба	Време за изп.	Азимут	Евн.	Ранета
25/07/2008 19:25:49	14	290	60	100	ицс	2 807		14	25/07/2008 19:26:52	00:01:21	290	60	ицс А
25/07/2008 19:25:49	16	130	60	100	ицс	3 221							
25/07/2008 19:25:49	25	370	65	95	2	1 454							
4	13367	25/07/2008 19:25:49	25/07/2008 19:25:50	стР	13° 43' 34.1"	23° 45.5"	280	15 000	1500				
Дало Пътна карта:	РП	Азимут	Евклид	%	Ранета	Дист[м]	ЦЛ	РП	Дало Стрелба	Време за изп.	Азимут	Евн.	Ранета
25/07/2008 19:25:49	14	290	60	100	ицс	3 780							
25/07/2008 19:25:49	16	130	60	100	ицс	3 225							
25/07/2008 19:25:49	25	370	65	95	2	1 452							
4	13367	25/07/2008 19:25:49	25/07/2008 19:25:50	стР	13° 43' 34.1"	23° 45.5"	280	15 000	1500				
Най-добрите:	7												
Общ брой обработени конф.:		1											
Общ брой на обработени:		00:04:11											
Общ брой пропорции за военни конф.:		12											
Общ брой използвани конф. за военни конф.:		2											
Сума от градивни пътища на военни конф.:		13 367 дк											
Текущи възможности:		РП716 – възможност големина национално зонно, зоната 1 мин.											

Ръководител на действие: Светла Върбанова

на б.16. Създава се база данни за автоматичното формиране на информация за всички изпълнени въздействия върху обекта, които са били изпълнени във времето на изпълнение на задачата.

Създава се база данни за всички изпълнени въздействия върху обекта, които са били изпълнени във времето на изпълнение на задачата.

\* Създава се база данни за всички изпълнени въздействия върху обекта, които са били изпълнени във времето на изпълнение на задачата.

\* Създава се база данни за всички изпълнени въздействия върху обекта, които са били изпълнени във времето на изпълнение на задачата;

\* Създава се база данни за всички изпълнени въздействия върху обекта, които са били изпълнени във времето на изпълнение на задачата;

\* Създава се база данни за всички изпълнени въздействия върху обекта, които са били изпълнени във времето на изпълнение на задачата;

\* Създава се база данни за всички изпълнени въздействия върху обекта, които са били изпълнени във времето на изпълнение на задачата;


\* ზემოქმედების ჩასატარებლად გაცემული ბრძანებებისა და მათი შესრულების არქივირება;

\* საცეცხლე წერტილებზე რაკეტების ხარჯებისა და მათი მიწოდების რაოდენობის, თითოეულ წერტილზე მოცემული მომენტისათვის მათი მარაგის კონტროლი;

\* მეტეოროლოგიურ მონაცემთა ავტომატური შეგროვებისა და დამუშავების შესაძლებლობა შემდეგი ელემენტებისათვის: ჰაერის ტემპერატურა და სინოტივე, ატმოსფერული წნევა, ქარის სიჩქარე და მიმართულება, წვიმისა და თოვლის ჯამური რაოდენობა, წვიმის ინტენსივობა.

#### 4.10. საცეცხლე წერტილის ტექნიკური აღჭურვილობა

რაკეტების გამშვები პუნქტის ტექნიკური აღჭურვილობის სქემა მოცემულია ნახაზზე 17. ეს აღჭურვილობა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:



ნახ.17. რაკეტების გასაშვები პუნქტის ტექნიკური აღჭურვილობის სქემა

1 – მზის ფოტოელექტრული პანელი, რომელიც სუვ-თა განახლებადი ენერგიით უზრუნველყოფს მიუდგომელ ადგილს მყოფ დაშორებულ საცეცხლე წერტილებს, სა-დაც არ არსებობს ელექტრულ ქსელთან მიერთების შე-საძლებლობა;

2 – ფოტოვოლტაიკური სისტემის საკონტროლო პანე-ლი, რომლის დანიშნულებაა, MPPT ტექნოლოგიის გამო-ყენებით, მზიდან მიღებული ელექტროენერგიით აკუმულ-ატორების დამუხტვის პროცესის კონტროლი, მათი მდგო-მარეობის კონტროლი და განათებისა და სხვა მიზნები-სათვის საცეცხლე წერტილის ელექტროენერგიით უზ-რუნველყოფა;

3 – საცეცხლე წერტილის გასანათებლად გამიზნუ-ლი, სინათლის გამასხივებელი დიოდებით (LED) აღჭურ-ვილი პროექტორი, რომელიც 10-ჯერ ნაკლებ ენერგიას მოიხმარს ჩვეულებრივი ვარვარების ნათურებით აღჭურ-ვილ პროექტორთან შედარებით;

4 – აკუმულატორების ბატარეა, რომელიც უწყვეტად მიაწოდებს ელექტროენერგიას საცეცხლე წერტილის ყვე-ლა სისტემას;

5 – დისტანციური კონტროლის პანელი, რომელიც სა-კომანდო პუნქტთან უზრუნველყოფს საინფორმაციო კავ-შირს საცეცხლე წერტილზე არსებული მდგომარეობის, რაკვეტების გაშვებისა და ამ პროცესის ფიქსირების შესა-ხებ კოდირებული ტელემეტრული სისტემის გამოყენებით;

6 – რაკვეტების ავტომატიზებული გამშვები დანადგა-რი, რომლის დანიშნულებაა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის **FIREW** მიერ გამომუშავებული ბრძანების შე-საბამისად ავტომატურად დააყენოს დანადგარი აზიმუტ-ების დიაპაზონში  $0-360^{\circ}$  და ვერტიკალური კუთხეების დიაპაზონში  $45^{\circ}$ -დან  $85^{\circ}$ -მდე და უზრუნველყოს 6 რაკვეტის რიგ-რიგობით გაშვება. დანადგარში გათვალისწინებულია აგრეთვე ხელით მართვის შესაძლებლობა;

7 – რაკეტების გამშვები დანაღვარის დისტანციური კონტროლის პანელი, რომელიც გამოიყენება საკომანდო პუნქტიდან სროლის აზიმუტისა და ვერტიკალური კუთხის შემცველი ბრძანების შესრულების შესამოწმებლად.

საცეცხლე წერტილის აღჭურვილობაში შედის სეტ-კონფიგურაცია საწინააღმდეგო რაკეტა, რომლის ამჟამად გამოყენებული ტიპის ტექნიკური პარამეტრები მოყვანილია ნახაზე 18. როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, რაკეტის დიამეტრი/კალიბრი შეადგენს 55 მმ, ხოლო სიგრძე 910 მმ. რაკეტაში მოთავსებულია 400 გ მაკრისტალებელი რეაგენტი, რომლის გაბნევა ღრუბელში წარმოებს 34 წამის განმავლობაში. რაკეტის გაშვების ადგილზე ჰაერის ტემპერატურა შეიძლება იცვლებოდეს  $-5^{\circ}\text{C}$  და  $+50^{\circ}\text{C}$ . შენახვის საგარანტიო ვადაა 3 წელი.


### Technical parameters

Length of the container, mm	<b>1045</b>
Outside diameter of the container, mm	<b>60</b>
Length of the rocket, mm	<b>910</b>
Diameter of the rocket, mm	<b>55</b>
Total weight of the rocket with the container, kg	<b>3,45</b>
Weight of the agent, kg	<b>0,4</b>
Initial velocity, m/sec	<b>80</b>
Working time of the engine, sec	<b>4</b>
Time of dispersion, sec	<b>34</b>
Time of self-destruction, sec	<b>41</b>
Working temperature range, $^{\circ}\text{C}$	<b>from -5 to +50</b>
Temperature range for storage, $^{\circ}\text{C}$	<b>from -30 to +50</b>
Warranty, years	<b>3</b>



ნახ.18. ბულგარეთის სეტკონტროლის ბრძოლის სამსახურში ამჟამად გამოყენებული რაკეტის MTT9M ტექნიკური პარამეტრები

რაკეტის ტრაექტორიები ზღვის დონიდან 250 მ სიმაღლეზე მდებარე გამშვები დანადგარის სხვადასხვა. ვერტიკალური კუთხეებისათვის ნაჩვენებია ნახაზზე 19.



ნახ.19. სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტის მტტ-9მ ტრაექტორიები.

მასზე მუქი ჯვრებით აღნიშნულია რაკეტიდან რეაგენტის გამოყოფის საწყისი (7<sup>3</sup>მ) და საბოლოო (41 წმ) მომენტები, ხოლო პატარა ვარსკვლავით (\*) – რაკეტის თვითლიკვიდაციის მომენტი გაშვებიდან 45-ე წამზე. ნახაზიდან ჩანს, რომ რაკეტის მოქმედების მაქსიმალური სიმაღლე იცვლება შუალედში ზღვის დონიდან 4.0-6.2 კმ, ხოლო მოქმედების რადიუსი 2,5-დან 7 კმ-მდე. ამრიგად, დასაცავ ტერიტორიაზე საცეცხლე წერტილების მოქმედების რადიუსის მინიმალური გადაფარვის პირობებში მანძილი მათ შორის უნდა შეადგენდეს არა უმეტეს 12-13 კმ.

## **5. ქახეთსა და ბულგარეთში სეტყვასთან ბრძოლის სამუშაო- თა წარმოების შედარებითი ანალიზი**

ბულგარეთში 1960-იანი წლების შუა პერიოდში დაწყებული სეტყვასთან ბრძოლის საცდელ-საწარმოო სამუშაოები მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა საქართველოში, და კერძოდ კახეთში, წარმოებული სამუშაოების გამოცდილებას. ბულგარეთში სეტყვასთან ბრძოლის სამსახურში 1970-იან წლებში გამოყენებული რადიოლოგატორები, სარაკეტო ტექნიკა, ზემოქმედების მეთოლოგია და მისი ეფექტურობის დადგენის პრინციპები თითქმის მთლიანად გადმოტანილი იყო კახეთში სეტყვასთან ბრძოლის პრაქტიკიდან, რაც აიხსნებოდა დასაცავი ტერიტორიების ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების დიდი მსგავსებით. ბულგარელი კოლეგები ხშირად სტუმრობდნენ თელავისა და სხვა გასამხედროებულ ნაწილებს, საეციალისტებს შორის მიმდინარეობდა გამოცდილების ნაყოფიერი გაზიარება.

ეს გარემოება განაპირობებდა იმას, რომ კახეთის რეგიონში 1980-იან წლებში განვითარებული სეტყვასთან ბრძოლის ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ტექნოლოგია თითქმის ანალოგიური იყო ბულგარეთის სეტყვასთან ბრძოლის სამსახურში დანერგილი ტექნოლოგიისა, თუმცა ზემოქმედების ჩასატარებლად საჭირო ინფორმაციის დამუშავება და ოპერაციების ავტომატიზაცია ჯერ კიდევ იმ წლებში იქ უფრო თანამედროვე დონეზე წარმოებდა, ვიდრე საქართველოში.

1990-იანი წლებიდან ბულგარეთში სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოები არ შეწყვეტილა. პირიქით, გასულ 20 წელიწადში ეს სამუშაოები, დასავლეთის განვითარებულ ქავენებში გამოყენებული ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, უფრო მაღალ დონეზე ჟე იქნა აყვანილი, რასაც მოწმობს ბულგარეთის სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოების ზემოთ მოყვანილი მიმოხილვა. ამიტომ, საქართველოში სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა აღდგენის გზა-ზე ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმ ტექნოლოგიური სიახლეების გამოვლენა, რომლებიც მიღებულ იქნა ბულგარებ-

თში 20 წლის მანძილზე და საქართველოში მათი დანერგვის შესაძლებლობათა გარკვევა.

კახეთის რეგიონში 1980–იან წლებში და ბულგარეთში ამჟამად გამოყენებული სეტყვასთან ბრძოლის ზემოთ აღწერილი ტექნოლოგიების შედარება საშუალებას იძლევა გამოვიტანოთ შემდეგი ძირითადი დასკვნაები:

1. სეტყვასთან ბრძოლის კონცეპტუალური მოდელი, რომელიც 1980–იანი წლებისთვის დამუშავდა მრავალი ქვეყნის სპეციალისტთა მიერ და რომელიც უყრდნობოდა მზარდი კონვექციური უჯრედის გადამეტცივებულ არეში მაკონკურირებელი ჩანასახების კონცენტრაციის ხელოვნურად გაზრდის გზით სეტყვის ზრდის პროცესის შეჩერების იდეას, კვლავაც წარმოადგენს სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა საფუძველს.

2. სეტყვასაში კონვექციურ უჯრედში მაკრისტალებელი რეგენტის შეტანის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტა, რომლის ტექნიკური პარამეტრები უზრუნველყოფს რადიოლოკატორის საშუალებით ღრუბელში შერჩეული გადამეტცივებული არეების დედამიწის ზედაპირიდან დისტანციურ დამუშავებას.

3. სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოები კვლავაც უყრდნობა სეტყვასაში და სეტყვიანი ღრუბლების 1980–იან წლებში შემუშავებულ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით გამოიყოფა ერთუჯრედიანი, მრავალუჯრედიანი და სუპერუჯრედიანი ღრუბლები მათთვის დამასასიათებელი სტრუქტურითა და განვითარების თავისებურებებით.

4. სეტყვასთან ბრძოლის ოპერაციების დასაგეგმად და ჩასატარებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს აეროსინოპტიკური მონაცემების არსებობა, რომლებიც კონვექციური ღრუბლის სათანადო მათემატიკური მოდელის გამოყენებით კომპიუტერულად უნდა დამუშავდეს. მიღებული შედეგი უნდა გაანალიზდეს რადიოლოკაციური და თანამგზავრული დაკვირვებების მონაცემებთან ერთად.

5. რადიოლოკაციური დაკვირვებების მონაცემები კომპიუტერული პროგრამით უნდა მუშავდებოდეს, რეალურ დროში ხელმისაწვდომი იყოს ზემოქმედების ხელმძღვანელისთვის და ციფ-

რული ფორმით ინახებოდეს არქივში. სეტყვასაში ან სეტყვიან დრუბლებზე დაკვირვებისას კომპიუტერული პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს აეროსინოპტიკური და რადიოლოგიკური მონაცემების საფუძველზე რეკომენდაციების გამომუშავებას კონკრეტულ უჯრედში შესატანი რეაგენტის რაოდენობისა და ზემოქმედების განსახორციელებლად შერჩეული საცეცხლე წერტილის შესახებ.

6. საცეცხლე წერტილზე საკომანდო პუნქტიდან მიღებული ზემოქმედების ჩასატარებელი ბრძანების შესრულება ავტომატურ რეჟიმში უნდა წარმოებდეს, რაც გამორიცხავს რაკეტების გაშვებაში სუბიექტური შეცდომების დაშვებას. ყველა გაშვება და მისი შესრულება კომპიუტერულად უნდა ფიქსირდებოდეს და ინახებოდეს არქივში. პრინციპულად განსხვავდება საცეცხლე წერტილის ბულგარეთში გამოყენებული სხვა ტექნიკური აღჭურვილობაც. მზის პანელი უზრუნველყოფს სააკუმულატორო ბატარეის საიმედო მოქმედებას, რაც ადრე მოქმედ სისტემებში მოითხოვდა ბენზინზე მომუშავე ელექტროგენერატორების გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით, არ არის გამორიცხული საქართველოს პირობებში ქარიან მაღალმთიან საცეცხლე წერტილებზე პარალელურად გამოყენებული იქნას ქარის ელექტროგენერატორებიც.

7. სეტყვასთან ბძოლის ოპერაციების ჩასატარებლად ბულგარეთში გამოიყენება ერთ სისტემად გაერთიანებული სამი ქვესისტემა:

\* MRL5 IRIS რადიოლოგიკაციური დაკვირვების ქვესისტემა, რომელიც რეალურ დროში უზრუნველყოფს საკომანდო პუნქტზე ინფორმაციის მიწოდებას მეტეოროლოგიურ მოვლენებზე დაკვირვებისა და მათი პროგნოზირების შესახებ;

\* FIRE HAIL კომპიუტერული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა მომზადებას დრუბლებზე ზემოქმედების ჩასატარებლად და იძლევა რეკომენდაციებს საცეცხლე წერტილების შესარჩევად;

\* FIRE W – საკომუნიკაციო და საინფორმაციო ქვესისტემაა, რომელიც შედის რაკეტების გაშვებისა და მისი კონტროლის სპეციალური კომპიუტერული პროგრამა.

8. ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ქვესისტემის მიერ გამომუშავებული ინფორმაცია და ბრძანებები თავს იყრის საკომანდო პუნქტის ცენტრალურ კომპიუტერში, რომელიც უზრუნველყოფს ზემოქმედების ოპერაციების დეტალური დოკუმენტაციის შედგენას.

განხილული 8 პუნქტიდან პირველი სამი კახეთში წარმოებული სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოებშიც იყო მიღებული, რაც მოწმობს იმას, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე ბულგარეთში სეტყვასთან ბრძოლის სტრატეგია პრინციპულად არ შეცვლილა. მეოთხე პუნქტში უკვე შემოვიდა აეროსინოპტიკურ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების ფაქტორი, რომლის მაღალ დონეზე რეალიზება დამოკიდებულია კონვექციური ღრუბლის მათვმატიკური მოდელის შერჩევაზე და გამოთვლების შედგენის სათანადო ფორმით წარმოდგენაზე. საქართველოში სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა აღდგენის შემთხვევაში მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს მოდელური გამოთვლების ჩასატარებლად ღრუბლის საჭაოდ სრული მოდელის გამოყენება, რომელიც შესაძლებელს გახდის სანდოობის მაღალ დონეზე რადიოლოკაციური მონაცემების გამოყენებით შეფასდეს ცალკეულ სეტყვასაში ღრუბელზე ზემოქმედების უფექტურობა.

მე-5 პუნქტი მთლიანად მოიცავს რადიოლოკაციური დაკვირვებების კომპიუტერიზაციას, რაც პრინციპულად ახალ საფეხურზე აიყვანს მონაცემთა დამუშავებისა და წარმოდგენის სისტემას. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, კახეთში წარმოებულ სამუშაოებში ლოკატორის ეკრანზე ვიზუალურად ათვლილი მონაცემები ხელით რეგისტრირდებოდა ჟურნალში, გაზრდილი ამრეკლადობის ზონის პარამეტრების მიხედვით ღრუბელში შესატანი რეაგენტის რაოდენობა ისაზღვრებოდა ტიპიური პირობებისათვის შედგენილი ცხრილებით, ხოლო საცეცხლე წერტილების შერჩევა ხდებოდა ზონის კონტურების პლანშეტზე დატანით. ყველა ამ პროცედურის კომპიუტერიზაციის შედეგად ზემოქმედების ოპერაცია მნიშვნელოვნად ჩქარდება და გამოირიცხება გადაწყვეტილების მიღებაში სუბიექტური ფაქტორი. ზემოქმედების ხელმძღვანელს მეტი ღრო რჩება კომპიუტერის მიერ რეკომენდებული ბრძანებების შესაფასებლად და, საბოლოოდ, ზემოქმედების ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად.

მე-6 პუნქტი აგრეთვე ითვალისწინებს საცეცხლე წერტილზე წარმოებული სამუშაოს სრულ მოდერნიზაციას. ცეცხლის წარმოების ანუ რაკეტების გაშვების ავტომატიზებული სისტემა გამორიცხავს სუბიექტური შეცდომების დაშვებას, აგრეთვე ითვალისწინებს ამ პროცესის დეტალურ რეგისტრაციას და კონტროლს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგანგმო შემთხვევის პირობებში (სარაკეტო სისტემის ავარიული ფუნქციონირება, რაკეტის თვითგასვლა ელჭექის დროს და სხვ.)

მე-7 პუნქტში განხილული ქვესისტემების საქართველოს პირობებში დანერგვა ფაქტობრივად ზემოთ განხილული მოდერნიზაციის პრინციპების შეჯამებას წარმოადგენს, რაც უზრუნველყოფს საქართველოში გავლილი 20 წლის მანძილზე დაგროვილი ჩამორჩენის დაძლევას და სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა თანამედროვე დონეზე წარმოებას.

გარდა ამისა, საჭირო იქნება კახეთში ადრე წარმოებული ეკოლოგიური მონიტორინგის განახლება სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოთა გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად.

## თავი II. ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებები

საქართველოს ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს თოვლის ზვავების გავრცელებას. ზვავსაშიშია არა მხოლოდ ცალკეული დასახლებული პუნქტი, არამედ საავტომობილო მაგისტრალები, ელექტროგადამცემი ხაზები, რეკრეაციული დანიშნულების სხვადასხვა ობიექტი. თუ იმასაც გავითვალისწინებო. რომ, საქართველოს ტერიტორიის 56% ზვავსაშიშ ზონაში მდებარეობს და ტერიტორიის 20%-ზე ზვავი ყოველწლიურად ჩამოდის, ცხადი გახდება ზვავების შესწავლის აუცილებლობა და ზვავსაწინააღმდეგო რეკომენდაციების შემუშავება.

### 6. ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებების კლასიფიკაცია

არსებული ლიტერატურული წყაროების ანალიზი და მრავალწლიური კვლევები, რომელიც ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში წარმოებდა, შესაძლებლობას იძლევა ჩატარდეს ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებების კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად ედება ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებების კატეგორიები (პროფილაქტიკური, საინჟინრო, ზვავშემაკავებელი და ზვავდამცავი). ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პასიურ და აქტიურ დონისძიებებად (ცხრ.2).

### ცხრილი 2. ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებების კლასიფიკაცია

Nº	პასიური	Nº	აქტიური
1	ზვავსაშიში ტერიტორიის გამოკვლევა, უსაფრთხო ადგილის შერჩევა	4	დონისძიებები ზვავის კრაში (დროებითი, კაპიტალური, საინჟინრო ნაგებობები, გატყიანება)
2	ზვავის პროგნოზის მეთოდების დამუშავება (ცალკეული ზვავშემკრუბისათვის, მთიანი რეგიონისათვის)	5	დონისძიებები ზვავსადენში (ზვავის ამცილებელი, ობიექტის თავზე გამშვები, დამშლელი ნაგებობის მოწყობა)
3	ზვავსაწინააღმდეგო სამეოვალყურო სამსახურის შექმნა (საგუშაგოების მოწყობა, სამაშვლო რაზმების შექმნა)	6	დონისძიებები ზვავის გამოზიდვის კონუსში (ზვავის ამცილებელი, დამშლელი, დამამუხრუჭებელი და გამაჩერებელი ნაგებობების მოწყობა)


პასიური ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები არ ითვალისწინებს ზვავშემკრების ტერიტორიაზე რაიმე სპეციალური სამუშაოს ჩატარებას (საინჟინრო, გატყიანება, დატერასება და სხვ.), თოვლის საფარზე ზემოქმედებას (თოვლის მოძრაობაში მოსვლის ხელშემშეღელი ფარები, ღობები, ბადეები, თოვლზე ქიმიური ზემოქმედება, დატკეპნვა და სხვ.), თოვლის საფარის მოძრაობაში მოყვანას (აფეთქება, კარნიზების მოხერხვა და სხვ.), ზვავების ბუნებრივ პროცესებში ჩარევას (მიმართულებების შეცვლა, დამუხრუჭებება, გაჩერება და სხვ.). პასიური ღონისძიებებიდან ჰიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტში დღეისათვის შემუშავებული ზვავების პროგნოზის მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად: 1. ცალკეული ზვავშემკრებების ან მცირე ფართობის მქონე ტერიტორიებზე ზვავსაშიში პერიოდის დადგომის პროგნოზირების მეთოდები; 2. შედარებით დიდ ტერიტორიზე ფონური პროგნოზის მეთოდები. საქართველოში ჩამოსული ზვავების საერთო რაოდენობის 80% ახალმოსული თოვლისაგან წარმოიქმნება. ინსტიტუტის მცნიერთა მიერ შემუშავებულია ყველა გენეზისის ზვავის ჩამოსვლის პროგნოზირების მეთოდი, რომელიც დანერგილია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრში, საიდანაც მოსახლეობას და დაინტერესებულ ორგანიზაციებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია მოსალოდნელი ზვავსაშიშროების შესახებ.

აქტიურ ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებებში მთავარი როლი ადამიანს მიეკუთვნება. იგი ცდილობს ზვავის კერის ზედაპირის ფორმის შეცვლას, გამოიწვიოს ზვავის პროფილაქტიკური ჩამოსვლა ან ხელი შეუშალოს მის წარმოქმნას. აქტიური ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება შესაძლებელია ზვავსადენში, ზვავის გამოზიდვის კონუსში და ზვავის ქრაში.

## 7. საქართველოს ზვავსაშიში ტერიტორიები

საქართველოს ზვავსაშიში ტერიტორიები დეტალურად არის შესწავლილი და შედგენილია ზვავსაშიშროების რუკები. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ტერიტორიის ზვავაქტიურობის რუკას (ნახ.20), რომელიც გვიჩვენებს თუ ტერიტორიის რა ნაწილზე შეიძლება წარმოქმნას ზვავი, ანუ ტერიტორიის

რა ნაწილია აქტიური ზვავების წარმოქმნის თვალსაზრისით. რუკაზე წარმოდგენილია ნულოვანი,  $< 20\%$ ,  $20-40$  -  $40-60$ ,  $40-60$  60-მდე და  $> 60$  -ზე ზვავაქტიური ტერიტორიები;




#### ნახ.20. საქართველოს ტერიტორიის ზვავაქტიურობის რუკა


ზვავსაშიშროების ოთხი ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებლის (ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ზვავშემკრებების სიხშირე, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა) მიხედვით შედგენილია საქართველოს ტერიტორიის ზვავსაშიშროების რუკა, სადაც გამოიყო განსაკუთრებით ძლიერი, ძლიერი, საშუალო, სუსტი და არაზვავსაშიში რაონები (ნახ.21). ზემოთ ჩამოსვლილ რაონებს უკავიათ საქართველოს ტერიტორიის 12, 33, 8 და 3% შესაბამისად.

შედგენილია აგრეთვე კატასტროფული და სისტემატიური ზვავების გავრცელების რუკა (ნახ. 22).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ტერიტორიის 56% ზვავსაშიშ ზონაში მდებარეობს და ამასთან ტერიტორიის 20%-ზე, მიუხედავად იმისა უხვოვლიანია თუ არა ზამთარი, ზვავი ყოველწლიურად ჩამოდის. რაც შეეხება ტერიტორიის 36%-ს, სწორედ აქ ხდება როგორც სპორადული (2-3 წელიწადში ერთხელ ან ათეულ წელიწადში ერთხელ), ისე სისტემატური (როგორც ზვავის პარამეტრები სცილდება თავის ჩვეულ საზღვრებს) ზვავების ჩამოსვლა, რომელიც გამოირჩევა დიდი დამანგრევებლი ძალითა და მსხვერპლით.



### ნახ.21. საქართველოს ზვავსაშიში რაიონების რუკა



ნახ.22. საქართველოში კატასტროფული და სისტემატური ზეავების გავრცელების რეგი

**8. ზვაგსაწინააღმდეგო ღონისძიებების კატეგორიები**  
მსოფლიოს მთიან რაიონებში ზვაგსაწინააღმდეგო ბრძოლის მრავალი მეთოდი არსებობს. მათი განხორციელება უკირ-

ველესად იწყება ტერიტორიის ზვავსაშიშროების შეფასებით, ტყის მასივების დაცვითა და მათი აღდგენით, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფით. ზვავსაშიში რაიონის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფით აუცილებელია:

1. ადგილმდებარეობის ანალიზი;
2. ამინდის პროგნოზი. მათ შორის ზვავსაშიშროების პროგნოზი;
3. საშიშროების კლასიფიკაცია;
4. მოქმედების გეგმა.


ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობების დაპროექტებისა და სხვადასხვა დონისძიებების გატარებისას გასათვალისწინებელია ზვავების რეჟიმი და მათი ხასიათი, ასევე თოვლის საფარის სიმაღლე, ლანდშაფტის მორფოლოგია, თავად დასაცავი ობიექტისათვის შესაბამისი ზვავსაწინააღმდეგო კონსტრუქციებისა და დონისძიებების შერჩევა (ცხრ.3).

#### 9. ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობები


ზვავებისაგან დაცვის სტრატეგია ისეთ ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობების მშენებლობას გულისხმობს, რომელიც ადამიანების უსაფრთხო ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. უხსოვარი დროიდან აღკვებსა და კავკასიაში სახლებს ისე აშენებდნენ, რომ სახლის უკანა კედელი ფერდობზე ყოფილიყო მიბჯენილი, ხოლო სახლის სახურავს ისეთი დახრის კუთხე უნდა ჰქონოდა, რომ თოვლის მასას მასზე დაცურების საშუალება მისცემოდა ან უკანა კედელს უნდა ჰქონოდა ისეთი ფორმა, რომ შეესრულებინა ზვავის მჭრელის ფუნქცია (ნახ.23). ასეთი პრინციპით არის აგებული დვოისმშობლის ეკლესია და კოსტი, რომელიც თავდაპირველად აგებისთანავე 1602 წელს 70 სახლთან ერთად დაინგრა. აღდგენის შემდეგ 1817 წელს ჩამოსულმა ზვავმა მხოლოდ ეკლესის გუმბათი დაფარა და სწორედ ზვავისმჭრელის ფორმით აგებული კედლის წყალობით გადარჩა, 1968 წლის 25 იანვარს ჩამოსულმა ზვავმა კი მხოლოდ გალავნის გვერდითი კედელი დააზიანა (ნახ.24).

### ცხრილი 3. ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების კატეგორიები

№	ღონისძიების კატეგორია	ღონისძიების მიზანი
<b>I. პროფილაქტიკური</b>		
1	ზვავსაწინააღმდეგო სამსახურის ორგანიზება, დაკვირვება, პროგნოზი და ინფორმაციის გავრცელება	ზვავების ჩამოსვლის პროგნოზი. მოსახლეობის დროული ინფორმირება და ზვავსაშიში ზონიდან გაყვანა
2	ზვავების ხელოვნური გამოწვევა	თოვლის საფარის მდგრადობის პროგნოზის საფუძველზე ზვავების რეგულარული ჩამოშვება სროლით, აფეთქებით, კარნიზის მოხერხვით და სხვა.
<b>II. ზვავის ამაცილებელი სისტემები</b>		
1	თოვლშემაკავებელი ნაგებობების მოწყობა (დობე, კედელი, დამცავი ფარი, ხილი, მავთულებლართი). ფერდობის დატერასება და გატყიანება	თოვლის საფარის მდგრადობის მიღწვევა ზვავების წარმოქმნის ზონებში, მათ შორის ფერდობების დატერასებისა და განაშენიანების გზით, რითაც მოხდება თოვლდაგროვების რეგულირება
2	თოვლშემაკავებელი დობეების და ფარების სისტემის მოწყობა	თოვლდაგროვების აცილება ზვავების წარმოქმნის ზონებში
<b>III. ზვავებისაგან დაცვა</b>		
1	მიმართულების შემცვლელი ნაგებობების შექმნა კედელი, ხელოვნური ზვავსადენი, ზვავისმჭრელი	ზვავის მიმართულების შეცვლა, ზვავსაშიში ობიექტის დაცვა
2	შემაჩერებელი და შემაფერხებელი ნაგებობების მოწყობა: დამბა, ბორცვი, ტრანშეა	ზვავის შეჩერება და მისი გადაადგილების შეფერხება
3	ზვავგამშვები ნაგებობების აგება: გალერეა, ესტაკადა, ფარდული	ზვავების გაჩერება ობიექტის თავზე ან მათ ქვემოთ



ნახ.23. შესაბამისი კონსტრუქციებით საცხოვრებელი სახლების დაცვა ზვავებისაგან



ნახ.24. დვოისმშობლის ტაძარი დაცვუში (შვეიცარია)

საქართველოში ზვავსაშიშროების გაუთვალისწინებლობის მრავალი სავალალო მაგალითის მოყვანა შეიძლება. ასეთია 1987 წელს სვანეთში, სოფელ ჟამუშში ზვავის შედეგად დანგრეული ახალი ნაგებობებისა და 26 ადამიანის ტრაგიკული ბედი, როცა მხოლოდ სვანური კოშკი გადარჩა, რადგან სწო-

რედ მისმა კედელმა შეასრულა ზვავისმჭრელის ფუნქცია (ნახ. 25)



ნახ. 25. 1987 წელს სოფ უამუშში (მესტიის მუნიციპალიტეტი)  
ზვავს გადარჩენილი სვანური კოშკი

მთიანი რაიონების მოსახლეობა ზვავებისაგან დასაცავად მიწურებსა და ფარდულებს აფარებდა თავს. 1805 წელს ალ-პებში სიმპლონის უღელტეხილზე ნაპოლეონის ბრძანებით ყველაზე ზვავსაშიშ მონაკვეთებზე პირველი გაღერება აშენდა. გალერეა რკინიგზისა და საავტომობილო გზების ერთ-ერთი საიმედო დაცვის საშუალებაა. ასეთი გაღერებები გვხვდება ყირგიზეთში, კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოს სამხედრო გზაზე (ნახ. 26).

მე-18 საუკუნიდან ფიქრობდნენ თუ როგორ შეეკავებინათ თოვლი ფერდობზე: ითხრებოდა ფერდობები, ზვავის მოწყვეტის ადგილას ხდებოდა ბოძების ჩასმა და ეს მარტივი კონსტრუქციები ღობებს მოგვაგონებდნენ. ზვავსაშიში ფერდობების პირველი საინჟინრო განაშენიანება 1868 წელს გრაუბიუდენში (შვეიცარია) მოხდა. ზვავსაშიშ ფერდობზე 19 ქვის ღობე 17 რიგად აშენდა, რომელთა ჯამური სიგრძე 412 მეტრს შეადგენდა. მას შემდეგ ამ ფერდობზე ზვავი არ ჩამოსულა. დღეისათვის ქვის ღობეები რკინა-ბეტონის, ხის, ალუმინის, ფოლადის, პლასტმასის მარტივი კონსტრუქციებით იცვლება. პლას-

ტმასისა და ნეილონისაგან ამზადებენ თოვლის შემაკავებელ ბადეებს (ნახ.27,28).



ნახ.26. ზვავსაწინააღმდეგო გალერეა საქართველოს  
სამხედრო გზაზე



ნახ. 27 თოვლის შემაკავებელი პლასტმასის ბადე



ნახ. 28 ოოვლის შემაკავებელი რკინის ბადე

თანამედროვე ზვავსაწინააღმდეგო ღობეების ერთი მეტრის დირებულება 500 დოლარს შეადგენს. მაგალითად, შვეიცარიის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის - სენანტონიონის 150 ადგილობრივი მოსახლის დასაცავად მილიონ ნახევარი დოლარი გამოიყოფა. არსებობს სხვადასხვა სახეობის ზვაგშემაკავებელი ნაგებობები. მაგ. სანატორიუმ “სახალინის” დასაცავად სის ოოვლშემაკავებელი ფარები გამოიყენება, რომლებიც მსხვილი ფოლადის ტროსებით არის მიმაგრებული მთის ოხემზე. ეს ფარები ათეული წელია იცავს სანატორიუმს ზვავებისაგან

რიგ ქვეყნებში ზვავის მიმართულების შემცვლელ დამბებს ზვავის სიჩქარის შესასუსტებლად და შესაკავებლად აგებენ. ასეთი ნაგებობები ბევრია ალპურ ქვეყნებში, მაგალითად ოლიმპიურ სოფელს ინსპრუქს დიდი ზვავსაწინააღმდეგო დამბა იცავს. ასეთი ნაგებობები ბევრია აგრეთვე სიბინებში ქალაქ კიროვსკის რაიონში.

ზვავის ამცილებელი ნაგებობა ოოვლის ზვავის მიმართულების შესაცვლელადაა გამიზნული. შესაძლებელია რკინაბეტონისაგან ან სხვა მასალისაგან აგებული დამბის, კედლის, ქვაყრილის ან მიწაყრილის გამოყენება, ასევე ზვავის მიმართულების შეცვლა ხელოვნური ზვავსადენის გაყვანითაც შეიძლება. ერთ-ერთ მაგალითად განვიხილავთ სოჭ-დურტას (ხუ-

ლოს რაიონი), სადაც 1971 წელს ჩამოსულმა ზვავმა დაანგრია საცხოვრებელი სახლები და 22 ადამიანი იმსხვერპლა. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ, ადგილობრივი მიკრორელიეფის, ზვავშემკრებების მორფომეტრიული და დინამიკური მახასიათებლების დადგენის საფუძველზე 1984 წელს შემუშავდა სოფლის დაცვის ზვავსაწინააღმდეგო ლონისძიება (ნახ.29).



ნახ. 29. ხელოვნური ზვავსადენის მაგალითი (სოფ. ლურტა)


დამრეც ფერდობზე, სადაც ხდებოდა ზვავის გაშლა, აშენდა ზვავის მიმართულების შემცვლელი ორი დამბა. 78 სიმაღლისა და 50-55 მ სიგრძის პირველი დამბის დანიშნულებას ზვავის სიჩქარისა და დარტყმის ძალის შემცირება და, ნაწილობრივ, მიმართულების შეცვლა წარმოადგენდა, ხოლო მეორე დამბის (სიმაღლე 10 მ, სიგრძე 190-200 მ) დანიშნულებას უშუალოდ ზვავის მიმართულების შეცვლა. ამ მეორე დამბის გასწვრივ ხელოვნური ზვავსადენი იქნა გაყვანილი. გარდა ამ ლონისძიებისა, გათვალისწინებული იქნა ისიც, რომ პერიმადარდოს ფერდობზე, სადაც ეს სოფელი არის გაშენებული, აუცილებელი იყო უტყეო მონაკვეთების წიწვოვანი ჯიშის ხებით გატყიანება და არსებული ტყის გაჩეხვის აკრძალვა. ამ

ღონისძიებების შემდეგ სოფლისთვის ზვავს ზარალი აღარ მიუყენებია.

1885 წელს პირველი ბეტონის კედელი საქართველოს სამხედრო გზაზე ზვავ “ბოდოსაგან” დასაცავად აშენდა.

ზვავის მოძრაობის შეფერხება ან შეჩერება ხდება ზიგზაგოვანი მონაკვეთების შექმნით, რაც შესაძლებელია მიზანმიმართული აფეთქებების გზით. ასეთი მეოთოდი ესანერთის პირნეის მთებში გამოიყენება. ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობების სიმტკიცეს და საიმედოობას თავად ზვავი განსაზღვრავს. ხიბინებში, ალპებში, იაპონიის მთებში ჩატარებული ღონისძიებები მიუთითებს, რომ აუცილებლად გასათვალისწინებელია ადგილობრივი პირობები და ზვავის ხასიათი.

აქმ პრინციპის განსახორციელებლად ზოგჯერ გასათვალისწინებელია კომპლექსურ ღონისძიებათა გატარება (ნახ. 30).



ნახ. 30. ზვავებისაგან დაცვის კომპლექსური სისტემა. 1. ზვავის მიმართულების შემცვლელი დამბა; 2. ზვავის შემაფერხებელი ბორცვები და ზვავშემაკავებელი დამბა; 3. ზვავსაწინააღმდეგო გალერეა. 4. თოვლშემაკავებელი ნაგებობა.

## **10.ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და არტილერიის გამოყენება**

აშშ-ში ზვავების პროფილაქტიკური ჩამოშვებისათვის გამოიყენება ნაღმები და სატყორცნი ყუმბარები. სატყორცნი ყუმბარების გამოყენების შემთხვევაში რამდენიმე საცეცხლე პოზიციიდან არის შესაძლებელი დიდი რაიონის კონტროლირება. აღნიშნული მეთოდი გამიყენეს ოლიმპიური თამაშების დროს სკორ-ველიში, გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა ორი საათის განმავლობაში ოცდაათამდე ზვავშემქრებიდან ჩამოვიდა ზვავი.

**ზვავსაშიშ ზონაში აფეთქება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:**

1. ერთი ფერდობიდან ზვავის ჩამოსვლის დროს აუცილებლად უნდა შემოწმდეს სხვა ფერდობებიც;
2. ზოგჯერ, აფეთქების შემდეგ ოვალი ისევ რჩება ფერდობზე ან შესაძლებელია მცირე ზომის ზვავის ჩამოსვლა.

**ფერდობებიდან ზვავების ჩამოსაშვებად გამოიყენება:**

1. ტეტრიტორიულის საბრძოლო ფუგასური ჭურვები C – 3 და ტროტილი;
2. სეისმოგრაფიული დენტო;
3. 105 მმ-ზე ნაკლები კალიბრის საბრძოლო ჭურვები;
4. გამონაკლის შემთხვევაში – დინამიტი.

**ოვალის კარნიზების ჩამოსაშლელად გამოიყენება:**

1. ტექნიკური 40%-იანი ჟელატინ-დინამიტი, რომელიც არ იყინება;
2. სამხედრო ფუგასური ჭურვები ან სეისმოგრაფიული დენტო;
3. კარნიზის წარმოქმნამდე შესაძლებელია წინასწარ გათხრილ ორმოებში ფუგასური ჭურვების განლაგება;
4. შესაძლებელია დეტონარორების გამოყენება, კერძოდ: ა) ელექტრონული და ცეცხლოვანი კაფსულა დეტონატორები ან დეტონატორის ზონარი; ბ) დეტონატორი ფუგასური ჭურვისათვეს უნდა იყოს №8 ან მეტი.

**აუცილებლად გასათვალისწინებელია ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვის წესები.**

ქვემებს, ნამდგროვცნს, სარაკეტო მოწყობილობებს უნდა გააჩნდეს სიზუსტე და შორ მანძილზე სროლის უნარი, უნდა

იყოს მობილური, საიმედო და გამოირჩეოდეს მართვის სიმარტივით. სხვადასხვა იარაღებს შორის აღსანიშნავია 75 და 105 მმ-ის კალიბრის ქვემეხები, ასევე 75 მმ-ის ჰაუპტიცები. 105 მმ-ზე მეტი კალიბრის იარაღის გამოყენება რეკომენდებული არ არის.

105 მმ-იანი ე.წ. უკუგორების არმქონე ქვემეხი თითქმის არ განსხვავდება 75 მმ-იანი ქვემეხისაგან როგორც სროლის სიზუსტით, ისე ექსპლუატაციით და სანდოობით. სროლის სიშორე მისი უფრო დიდია, ასევე დიდია დარტყმის ძალაც, თოვლზე ადგილად გადაადგილდება, მისი განთავსება შესაძლებელია როგორც ავტომობილზე, ისე რომელიმე პლატფორმაზე. ეს იარაღი შესაძლებელია გამოყენებული იქნას საავტომობილო გზების დაცვის მიზნით. ნაღმბრყორცნების გამოყენება შეუძლებელია იმ ადგილებში, სადაც ნაგებობები და დასახლებული პუნქტებია, რადგან მათი დაზიანება შესაძლებელია უზმბარის ნამსხვრევებით. ასევე ზემოქმედების დროს აუცილებელია გზების გადაკეტვა და გადაადგილების შეზღუდვა. გათვალისწინებული უნდა იყოს უსაფრთხოების ტექნიკის ძირითადი პრინციპები.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში საავტომობილო მაგისტრალებზე ზვავების პროფილაქტიკური გამოწვევა დაბომბვისა და ავეთქების გზით (ექსპრიმენტის სახით) საქართველოს სამხედრო გზაზე ტარლებოდა. ინსტიტუტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ზვავსაშიში უბნების განსაზღვრაში, ზვავების დინამიკური პარამეტრების (ზვავის სიჩქარის, დარტყმის ძალის, მოძრავი ზვავის სიმაღლის და კონუსის მაქსიმალური სიმაღლის) გამოთვლებში.

## 11. თოვლის ზვავებისაგან დაცვის თანამედროვე მეთოდები

ზვავებისაგან დასაცავად აუცილებელია როგორც აქტიური (ზვავებთან ბრძოლა), ისე პასიური (ზვავებისაგან დაცვა) ზვავსაწინააღმდეგო მეთოდების გამოყენება.

აქტიურ ღონისძიებებს მიეკუთვნება თოვლის საფარზე ზემოქმედების თანამედროვე სისტემის **GAZEX**, **AVALANCHE** (პნევმატიკური ქვემეხი) და **DAISYBELL** კომპლექსების გამოყენება.

1989 წელს ფრანგულმა ფირმამ 15 - წლიანი ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ დააპატენტა **GAZEX** სისტემა, რომლის

დახმარებით ჟანგბადისა და პროპანის ნარევის საშუალებით ხდება ზვავების ხელოვნურად გამოწვევა. ასეთი სისტემა მსოფლიოში გამოიყენება როგორც ზამთრის კურორტების, ასევე გზების, გვირაბების და საცხოვრებელი კომპლექსების დასაცავად. 2002 წელს ეს სისტემა გამოიყენეს რუსეთის ფედერაციაში კრასნოდარის მხარის “კრასნაია პოლიანას” და 2008 წელს კურორტ “როზა ხუტორში” (ნახ. 31).

ამ სისტემას სამმაგი მოქმედება გააჩნია:


1. იწვევს თოვლის მასის რდგევას გაზების წვის შედეგად;
2. იწვევს თოვლის საფარის გამკვრივებას;
3. სეისმური ტალღა, რომელიც სისტემის ამოქმედებისას წარმოიქმნება, იწვევს თოვლის მასის ჩამოსვლას.
- 4.



ნახ.31. ზვავსაწინააღმდეგო სისტემა **GAZEX**

სისტემა შედგება ორი ნაწილისაგან: **SHELTER** მართვის პუნქტისაგან, სადაც ჟანგბადისა და პროპანის რეზერვუარი, ელექტრონული მართვის სისტემა, რადიოსიგნალების მიმღები მოწყობილობა, თოვლის საფარის პარამეტრების განმსაზღვრება

ლი ხელსაწყოა მოთავსებული (სურათის მარჯვენა ნაწილი) და აქტიური ზემოქმედების რამდენიმე **EXPLODER** დანადგარისაგან. ნახაზზე გამოსახული ერთი ასეთი რეზერვუარი მომსახურებას უწევს 5 **EXPLODER**-ს (სურათის მარცხენა ნაწილი). ეს აქტიური ზემოქმედების დანადგარი წარმოადგენს მეტალის მიღს, რომელიც თავსდება ზვავშემკრებში და რომელთანაც მიერთებულია გაზგამტარი მიღები. თავად მიღები ძირითად პუნქტში განთავსებულ რეზერვუართან არის მიერთებული. **EXPLODER**- ის შიგნით ხდება ჟანგბადისა და პროპანის (1:6 წილით) შეერთება. ეს სისტემა მუშაობს ზამთრის მთელი სეზონის განმავლობაში ნებისმიერი ამინდის პირობებში და ზვავების გამოწვევა შეუძლია მანამ, სანამ ზვავი მიაღწევს დამანგრეველ მასას და ძალას. მაგ. კურორტ “როზა ხუტორ”-ში ცირკში განთავსებულია 34 **EXPLODER** დანადგარი (ნახ.32).



ნახ. .32. კურორტ “როზა ხუტორში” განთავსებული **EXPLODER**-ები

თანამედროვე ზემოქმედების კიდევ ერთ სახეობას წარმოადგენს ანევმატური ქვემეხი **AVALANCHE**, რომელმაც საარტილერიო იარაღი შეცვალა. ჭურვი-რაკეტა სპეციალური თხევადი (უსაფრთხო) კომპონენტებისაგან და დეტონატორისაგან შედგება. ქვემეხი შეიძლება განთავსდეს როგორც სტაციონარულად ერთ გარკვეულ ადგილზე, ისე შესაძლებელია მისი გა-

დატანა მუხლუხიანი ტრანსპორტით. მისი გასროლის მანძილი 2 კმ-ია (სურ.33).



ნახ.33. პნევმატური ქვემეხი **AVALANCHE**.

**DAISYBELL** (ე.წ.: „ზარი) ზვავებზე აქტიური ზემოქმედების მესამე უახლესი ტექნოლოგიაა, რომელიც მნელადმისაწვდომი ზვავშემკრებების ცალკეულ უბნებზე ზემოქმედების შესაძლებლობას იძლევა. სისტემა წარმოადგენს მეტალის კონუსს საეციალური მოწყობილობით, რომელიც ტროსით არის მიმაგრებული ვერტმფრენზე. **DAISYBELL** – ის მუშაობის პრინციპი მდგრმარეობს იმაში, რომ დისტანციური ინიცირებით ხდება მეტალის კონუსში მოთავსებული ჟანგბადისა და წყალბადის ნარევის აფეთქება. კონუსი დამზადებულია მაღალი მდგრადობის ფოლადისაგან, რაც საშუალებას იძლევა დაიკავოს გაზების ნარევი აალებამდე და მიმართოს თოვლის საფარისაკენ ასაფეთქებლად. (ნახ.34).

**DAISYBELL** – ის ექსპლუატაცია დამოკიდებულია ფრენის პირობებზე, მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დღის

საათებში კარგი ხილვადობის პირობებში და მიჩნეულია, რომ ეს წარმოადგენს ამ სისიტემის ნაკლას.

გარდა ზემოქმედების აღნიშნული სისტემებისა, ზვავებთან საბრძოლველად ამჟამად სხვადასხვა ქვეყნებში გამოიყენება შემდეგი ტიპის ზვავსაწინააღმდეგო რაკეტები:

1.ПРЛ -2,5 Н . კალიბრი 60 მმ, სიგრძე – არაუმეტეს 850 მმ, მასა -3 კგ, მოქმედების რადიუსი – 2500 მ.



ნახ.34. ზვავშემკრებზე **DAISYBELL** სისტემით ზემოქმედება.

2.“КИЗИЛ –Т “ რეაქტიულ ზვავსაწინააღმდეგო კომპლექსს გააჩნია 650-7000 მ-დე გასროლის სიშორე. გამოიყენება ძნელადმისაწვდომ რაიონებში, მისი დანიშნულების ადგილზე გადატანა ხორციელდება ვერტმფრუნით ან ავტოტრანსპორტით შესაბამისი უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით.

კომპლექსი შედგება: 80 მმ-იანი С-8 სისტემის რაკეტების გამშვები პულტის მქონე მრავალლულიანი დანადგარის, МК – 52 ტიპის მიკროკალკურატორისა და ლაზერული სამიზნებელი – მანძილმზომისაგან. მისი ტექნიკური მახასიათებლებია: კალიბრი -80მმ, გასროლის მაქსიმალური მანძილი 7000 მ, მინიმალური – 650 მ; რაკეტის მასა 11,6 კგ; გამშვები დანადგარის ПУ მიმმართველების რაოდენობა – 5, ПУ-ს მასა არაუმეტეს 150 კგ, ПУ საველე მდგომარეობიდან საბრძოლო მდგომარეობაში გადასვლის დრო 8-10 წთ.